# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძ-ოლის გაცხადება ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-ორშაბათი, 26-28 სექტემბერი. 2020 წ. №119 (9045) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


*სიკვდილშიაც არდანებება!..*

## სოხუმის დაცემა და ქართველთა ამაღლება!





თუ სიცოცხლის გაღება იქნება საჭირო, მე ამას უყოყმანოდ ვიზამ ერისთვის...

ჟიული შარტავა

③

## გიორგი გახარიამ წუხელ გაეროს გენერალური ასამბლეის 75-ე სესიის მონაწილეებს მიმართა



**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წელს 75 წლის გახდა და პირველად, მისი არსებობის განმავლობაში, გენერალური ასამბლეა დისტანციურად იმართება.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა Covid-19-ის გლობალური პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა, ოკუპაცია, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი, ქვეყანაში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა და სხვა.

## პრემიერი უნგრეთის თავდაცვის მინისტრ ტიბორ ბენკოს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გუშინ უნგრეთის თავდაცვის მინისტრ ტიბორ ბენკოს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, მხარეებმა საქართველოსა და უნგრეთს შორის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე საკითხები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.**

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და ამ გზაზე მიღწეულ პროგრესზე. ტიბორ ბენკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა უნგრეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

## ოჰ, ეს ამოუცნობი კიბერსივრცე!..

**ვაცნობიერებთ, რომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება, ხოლო კიბერსივრცესთან დაკავშირებული საკითხები, რისკები და საფრთხეები შეიძლება, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცეს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კიბერუსაფრთხოების ფორუმი, რომელიც თბილისში პირველად ტარდება, კიბერსივრცეში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების გზაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქცეს.

## გაბითურებული „ინჟორბიუროისტები“ და გაბედნიერებული ტაქსისტები

⑦

## დავით გარეჯი სხვისი როგორ არის?!



⑧



## რაზე მეტყველებს ჩეჩნეთში აღმოჩენილი ქართული ანბანის კვალი?!

⑨

## გვაქვს თუ არა საკმარისი რაოდენობის ხელოვნური სუნთქვის აპარატები?

⑦



## კელი დეგნანი: ძალიან შემაშფოთებელია ადამიანების დაშინება, რომ არაფერი ვთქვათ ძალადობაზე

საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი შეშფოთებას გამოთქვამს იმ ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელზეც წინასაარჩევნოდ ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ და ამბობს, რომ მსგავსი ფაქტები ქვეყანაში დაგეგმილ არჩევნებს დააზიანებს.

**„გუშინ წავიკითხე სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც საუბრობდა დაშინებისა და ძალადობის შემთხვევებზე. რა თქმა უნდა, ძალიან შემაშფოთებელია ადამიანების დაშინება, რომ არაფერი ვთქვათ ძალადობაზე. ეს ისეთი ქმედებაა, რაც აუცილებლად დააზიანებს საქართველოში დაგეგმილ არჩევნებს. კარგია, რომ საქართველოში იმყოფებიან საარჩევნო დამკვირვებლები, რომლებიც ყურადღებით აკვირდებიან პროცესს და შესაბამისად ახდენენ ანალიზს. ასევე, საელჩოს მხრიდან გვეყოლება ჩვენი სადამკვირვებლო ჯგუფები, რომლებიც კიდევ უფრო გააძლიერებენ დამკვირვებელთა ძალისხმევას. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ დავეხმაროთ საქართველოს, რომ ეს არჩევნები იყოს თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი“, —** განაცხადა დეგნანმა. მან პოლიტიკოსებს მოუწოდა, ხელი შეუწყონ ქვეყანაში სრულყოფილი არჩევნების ჩატარებას.

**„ჩვენ ვიცით, რომ სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება ჩაატარა და გაირკვა, რომ იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც ომბუდსმენის ანგარიშში იყო აღნიშნული, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას, რომ თავი შეიკავოს ასეთი ტიპის ქმედებისგან და ხელი შეუწყოს სამართლიანი და კარგი არჩევნების ჩატარებას. გთხოვთ, რომ ეს საქართველოს კეთილდღეობისთვის გააკეთოთ“, —** განაცხადა დეგნანმა.



## ვაგრძელებთ აშშ-საქართველოს ძლიერი პარტნიორობის გაფართოებას!

**ასე ეხმაურება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი რობერტ ო' ბრაიანი „ტვიტერში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან სატელეფონო საუბარს.**

როგორც ო' ბრაიანი აღნიშნავს, საქართველოს პრემიერთან საუბრის ძირითადი თემა ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის საკითხში განხორციელებული წინსვლა იყო.

**„მქონდა შესანიშნავი საუბარი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. განვიხილეთ არაერთი საკითხი, მათ შორის ავღანეთი, რუსეთი, ევროპის ენერგეტიკული დივერსიფიკაცია და ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის საკითხში განხორციელებული წინსვლა. ვაგრძელებთ აშშ-საქართველოს ძლიერი პარტნიორობის გაფართოებას“, —** წერს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი.



## კარლ ჰარცელი: საარჩევნო კოდექსში ცვლილებები და ეთიკის კოდექსზე ხელმოწერა ძალიან კარგია!

ევროკავშირის ელჩი წინასაარჩევნო გარემოს აფასებს და საწყის ეტაპზე, ჯერ საარჩევნო კოდესში შეტანილ ცვლილებებსა და შემდეგ ეთიკის კოდექსზე ხელმოწერას დადებით მოვლენად მიიჩნევს.

**„ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით იმ მოვლენებს, რაც ხდება საარჩევნო სიტუაციასთან დაკავშირებით და მხედველობაში ვიღებთ ინფორმაციას, რომელიც მოდის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ოპოზიციის მხრიდან; ასევე ხელისუფლებასთანაც ვთანამშრობლოთ.**

**ძალიან კარგი საწყისი მომენტი იყო, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შევიდა და ყველა პარტიამ ხელი მოაწერა ეთიკის კოდექსს. ჩვენ დიდი ყურადღებით ვაკვირდებით იმას, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს არჩევნები“, —** აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას კარლ ჰარცელმა.

## არჩევნების შემდეგ პურის ფასის ხელოვნურად დაჭერა შეუძლებელი იქნება!

**რუსეთში მარცვლეული ძვირდება, ხოლო საქართველოში ლარი ყოველდღიურად უფასურდება. ეს უახლოეს პერიოდში პურპროდუქტების ფასზე ნეგატიურად იმოქმედებს და მთავარი სასიცოცხლო პროდუქტი გაძვირდება. ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ინფორმაციით, ქართველ მომხმარებელს ფქვილი 2 ლარით გაუძვირდა, რაზეც გავლენა საერთაშორისო ფასმა და ლარის კურსმა ერთობლივად მოახდინა. რუსული საექსპორტო ხორბლის ფასი სექტემბრიდან 23 დოლარით არის გაძვირებული, რის გამოც ადგილობრივ ბაზარზე ფასის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.**

ჯერჯერობით პურპროდუქტების გაძვირება არ იგეგმება, თუმცა მეპურეთა ასოციაციის ინფორმაციით, წლის ბოლომდე მწარმოებლებს პურის ფასის შენარჩუნება გაუჭირდებათ. არჩევნების წინ მთავრობა ამას, დიდი ალბათობით, არ დაუშვებს, მაგრამ შემდეგ ვითარების დაბალანსება გაძნელდება.

**„დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებამდე პურის ფასს არაფერი ემუქრება. ძნელი სათქმელია, 31 ოქტომბრის შემდეგ ამ ფასს როგორ შეინარჩუნებენ. წლის ბოლომდე ცვლილება მოსალოდნელია, ამიტომ ვფიქრობ, რომ მთავრობა გარკვეულ ზომებს მიიღებს, საჭიროების შემთხვევაში, სუბსიდირებას მოახდენს.**

**კურსი კიდევ თუ გაუფასურდა, ბაზარი ამას ვერ გაუძლებს, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდება. პატარა თონეებსა და საცხობებს თუ გავითვალისწინებთ, მათ შეიძლება პური გააძვირონ კიდეც, მაგრამ დიდი ქარხნები, რომლებიც სახალხო პურს ქმნიან, ფასების ზრდას არჩევნებამდე მაქსიმალურად მოერიდებიან. ჩემი აზრით, ცვლილება უმნიშვნელო იქნება, თუმცა ერთეთერიანი სხვაობაც დიდი ტვირთია მოსახლეობისთვის“, —** განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ **მალხაზ დოლიძემ.**

**ბექა დანელია**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:**

**— ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია — მათემატიკის დარგში**
**— ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია — გეოლოგიის დარგში**
**— თინათინ წერეთლის სახელობის პრემია — სამართალმცოდნეობის დარგში.**

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისთვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონსკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წამოაყენებენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2020 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ **მისამართზე:** თბილისი, რუსთაველის გამზ. №52, ოთახი 320.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-99-00-52

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გენერალურ დირექტორად თინათინ ბერძენიშვილი ღია კენჭისყრით აირჩია. მის კანდიდატურას სამეურვეო საბჭოს რვა წევრმა დაუჭირა მხარი. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, ერთი ხმა ხათუნა ლაგაზიძემ მიიღო, ხოლო ირმა სოხაძემ — არც ერთი.**

თინათინ ბერძენიშვილი საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე იყო და ამჟამად, გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებს; არის ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) მედიაკომიტეტის წევრი და ამავე ორგანიზაციის გენდერული საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი. სამეურვეო საბჭოს 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მეორე ტურში გადავიდნენ თინათინ ბერძენიშვილი, ირმა სოხაძე, ხათუნა ლაგაზიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. ამასთან, ალექსანდრე ვახტანგოვმა გასაუბრების დასრულებისას განაცხადა, რომ კანდიდატურას ხსნის.

## ხვიჩა მღებრიშვილი თავისუფალია

**ოკუპანტების მიერ დაკავებული ხვიჩა მღებრიშვილი, 86-დღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. ის უკვე ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, დატოვა ერგნეთის საგუშაგო და საკარანტინო სივრცეში გადაჰყავთ.**

24 სექტემბერს ერგნეთში ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ ოსური მხარე მღებრიშვილის გათავისუფლებას აპირებდა. ხვიჩა მღებრიშვილი სოფელ მეჯვრისხევიდან 3 ივლისს გაიტაცეს. 19 ივლისს დე ფაქტო ცხინვალის სასამართლომ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა, 21 აგვისტოს კი მღებრიშვილს უკანონო პატიმრობა სამი თვით გაუგრძელდა. ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ის „მათ ტერიტორიაზე“ ღამურების შესაგროვებლად გადავიდა.



26 სექტემბერი წმინდა ქეთევან დედოფლის ხსენების დღეა




**ალექსანდრე ყაზბეგი**

## ლოცვა ქეთევან დედოფლისა

დედავ ღმრთისაო, შენ მომხედე,
მომეც შენ ძალა,
რომ კისრად ვიდო ხალხისათვის
ზრუნვა და ბრძოლა.
შენ გევედრები, დღეს მე მტერი
დამაძლევინო
და ხალხისათვის გზა ნათელი
გამაკვლევინო.
უზენაესო! შენც ხომ ხედავ, რომ
მე არ ვცდილვარ,
თავმოყვარეზით ხელთა მეგდო
კვლავ დედოფლობა
და თვით ერისთვის, მის ბედისთვის
და ნუგეშისთვის, –
მე მიმიღია ჩემს თავზედა
წინამძღოლობა.
მაშ, დამეხმარე, ძალა მომეც,
რათა შევიძლო,
რომ ღირსეულად, კვლავაც შენი
საუფლისწულო –
ქართველთა შვილნი,
ქართველთათვის თავდადებულნი
წარმოვადგინო შენს წინაშე,
დედავ ქალწულო.

## სიკვდილშიაც არდანებება!..

# სოხუმის დაცემა და ქართველთა ამაღლება!

## 27 სექტემბერი საქართველოში გლოვის, ხსოვნისა და იმედის დღეა!

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა „აფხაზურმა გვარდიამ“, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან ცეცხლი გაუხსნა.

სახელმწიფო საბჭომ სოჭი-ინგირის რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შეყვანა 11 აგვისტოს ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა. შეთანხმების მიუხედავად, „აფხაზურმა გვარდიამ“ საქართველოს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას წინააღმდეგობა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში და ქალაქ სოხუმში გაუწია, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. 1993 წლის 16 სექტემბერს, აფხაზურმა მხარემ დაარღვია 27 ივლისის სოჭის შეთანხმება „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ და დაიწყო შტურმი სოხუმის ასაღებად. სოხუმისთვის ბრძოლა 11 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. აფხაზურ-რუსულმა, ჩრდილოეთ კავკასიელთა და კაზაკთა შენაერთებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაზე შტურმი 27 სექტემბერს, დილიდანვე დაიწყეს და ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჟიული შარტავა**, ქალაქ სოხუმის მერი **გურამ გაბესკირია** და მინისტრთა საბჭოს 27 თანამშრომელი.

ყველა მათგანი დაუნდობლად დახვრიტეს!

რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება „საქართველოზე გამარჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს“ ყოველი წლის 30 სექტემბერს აღნიშნავს.

დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთში 1992-1993 წლებში სამხედრო დაპირისპირებისას ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი უსახლკაროდ დარჩა. აფხაზური მხარის მონაცემებით კი, დაიღუპა 3 500 და დაიჭრა 2 ათასამდე აფხაზი.



თუ სიცოცხლის გაღება იქნება საჭირო, მე ამას უყოყმანოდ ვიზამ ერისთვის...

ჟიული შარტავა



**ჯემალ აჯიაშვილი:**

ჟიული შარტავა მოახლოებულ აღსასრულს არა მარტო გრძნობდა, არამედ ამ ნაბიჯისთვის მთელი თავისი ცხოვრება ემზადებოდა. არ შეიძლება ცხოვრების წესი, ჩვეულებები, ხასიათი, შეწირვისთვის მზადყოფნა ერთ დღეში დაიბადოს და ჩამოყალიბდეს.

საბედისწერო ნაბიჯი იყო? ამას ვერ ვიტყვი, ჟიული თავისი არსით, ცხოვრებით ერის დიდებულ წარსულს იყო შეძერწილი და მოიქცა ისე, როგორც მის მირს და გენს ეკადრებოდა. ამ გზისკენ დიდი წვალებით, შრომით, ტრაგიზმით მიდიოდა“...

# ჯვართამაღლება

27 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს და თაყვანს სცემს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.

...ცნობილია, რომ კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ, კონსტანტინე დიდის დედამ, გადაწყვიტა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს, ამისთვის ის საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში, მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარია აშენებული.

საგულისხმოა, რომ ელენე დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარაველი, მეუფე ურიათა“.

იმის გასაგებად, თუ რომელი მათგანი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს, ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრით კი მოხდა სასწაული — მესამე ჯვრის შეხებით მიცვალებული აღდგა! აი, ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი... და აამაღლეს იგი.

ჯვართამაღლებისას უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ყველა იქ მყოფთ სურდათ ჯვრის ხილვა — ცხოველმყოფელი ჯვრის დანახვისას ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიწმინდეს შემდეგი სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალენ“!

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ჯვარი არის ჯოჯოხეთიდან ჩვენი გამოხსნის, სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, ჩვენი გადარჩენის იარაღი“.

ჯვართამაღლების დღესასწაული მარხვით აღინიშნება. ამ დღეს ტაძრებში ჯვარი საზეიმოდ გამოაქვთ და თაყვანს სცემენ მას.



# ტყუილისა არ იყოს, სიყალბესაც მოკლე ფეხები აქვს...



**გენერალურმა პროკურატურამ ე.წ. სატელიტური ფოტოების საქმეზე დავით ფურცხვანიძე დააკავა. ამის შესახებ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.**

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა ერთ-ერთი მედიასაშუალებით გაასაჯაროვა ფოტომასალა, რომელიც მისი თქმით, სატელიტიდანაა გადაღებული და სოფელ მაწევანის ტერიტორიას 2020 წლის 19-22 ივლისს ასახავს.**

**ვინაიდან აღნიშნული ფოტოების მიხედვით არ ირკვეოდა მისი წარმოშობის წყარო, კერძოდ, არ არის მითითებული ვებგვერდი და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მიხეილ რამიშვილს შეეთავაზა, მიეთითებინა კონკრეტული სატელიტური თანამგზავრის და მისი მფლობელის მონაცემები, თუმცა ამ უკანასკნელმა წარმოადგინა 2 ფოტოსურათი და უარი განაცხადა კომპანიის და კონკრეტული წყაროს დასახელებისგან, რის გამოც აღნიშნული ფოტოების ავთენტურობის დადგენის მიზნით ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა.**






ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიხეილ რამიშვილის მიერ წარმოდგენილი ორივე ფოტოსურათი გაყალბებულია. აღნიშნული ინფორმაციის გახმიანებას შემდგომ მიხეილ რამიშვილმა როგორც მედიასთან საუბრისას, ასევე საგამოძიებო ორგანოში გასაუბრებისას განმარტა, რომ მას აღნიშნული ფოტომასალა მიაწოდა დ.ფ.-მ.

**აღნიშნული ქმედება შეიცავდა შესაძლო დანაშაულის ნიშნებს და საჭიროებდა დამატებით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, მათ შორის თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატების მონაწილეობით. ვინაიდან, ადვოკატების მოწმის სახით გამოკითხვა თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე წარმოებული გამოძიების პროცესში გამოიწვევდა მოცემულ საქმეზე შემდგომში საადვოკატო საქმიანობისგან მათ ჩამოცილებას, საქართველოს პროკურატურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება და მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტებზე.**

მოცემულ საქმეზე გამოძიების მიერ ჩატარდა არაერთი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება. ამოღებულ იქნა როგორც დაკავებულის, ისე მისი შვილის კომპიუტერული ტექნიკა და მოსამართლის მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული ტექნიკიდან ინფორმაციის გამოთხოვა.

ამავე საქმეზე განხორციელდა ადვოკატ მიხეილ რამიშვილის ტელეფონიდან მასსა და დაკავებულს შორის კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის და ე.წ. სატელიტური ფოტოების მოპოვება, ასევე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სახით გამოიკითხნენ თავად დ.ფ., მიხეილ რამიშვილი და ეკა ქობესაშვილი.

ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებული ხელმძღვანელობს თავის მიერ დაფუძნებულ არაკომერციულ იურიდიულ პირს —„უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრი". მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შედეგად, დ.ფ.-სთვის ცნობილი გახდა თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის და მისი ადვოკატების ვერსიის თაობაზე, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ავტომანქანა თითქოსდა 2020 წლის 18-22 ივლისს არ იმყოფებოდა იმ ადგილას, სადაც ნანახი იქნა თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარი. ასევე დაკავებულისთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ საქართველოს პროკურატურა ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს სატელიტური ფოტოების მოძიების მიზნით.

დაკავებულმა გაყალბებული სურათები სოციალურ ქსელ „Whats App"-ის საშუალებით გადაუგზავნა მიხეილ რამიშვილს, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული ფოტოები წარუდგინა გამოძიებას მტკიცებულების სახით. მოცემულ ფოტოებზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ფოტოსურათები არის ყალბი და დამზადებულია მონტაჟის გზით.

**მიმდინარე საქმეზე გამოძიების პროცესში 2020 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით გამოკითხვისას მოსამართლის მიერ დ.ფ.-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ, კერძოდ, უფლების შესახებ არ მიეცა მისი და მისი ახლო ნათესავის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენება. დაკავებულმა არ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და თანხმობა განაცხადა ჩვენების მიცემაზე.**

დაკავებული ასევე გაფრთხილებული იქნა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, პირადი გამორჩენის მიღების განზრახვით მოქმედმა დ.ფ.-მ გამოძიებას და სასამართლოს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა მის პარტნიორს აქვს წვდომა სამხედრო-სამეცნიერო პროექტის შემსრულებლებთან, რომელმაც ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის სატელიტიდან მიიღო აღნიშნული ფოტოები.

დ.ფ.-ს წარედგინება ბრალდება დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 3691-ე მუხლის I ნაწილით და ამავე კოდექსის 370-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ექვს წლამდე ვადით.

**დაკავებულს ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ იგი აპირებს ქვეყნის დატოვებას და უკვე შეძენილი აქვს ავიაბილეთი, ასევე საზღვარგარეთის ერთ-ერთ ბანკში გააჩნია ანგარიში, რომელზეც მუდმივად ახდენს სხვადასხვა თანხის დაგროვებას, რაც ბრალდების მხარეს აძლევს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ დ.ფ. აპირებს ქვეყნის დატოვებას, რათა თავი აარიდოს სისხლის სამართლებრივ პასუხიმგებლობას, რის გამოც ბრალდების მხარე იშუამდგომლებს სასამართლოს წინაშე მისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების თაობაზე",** — აცხადებენ პროკურატურაში.

## გამოძიება გრძელდება




**ვერ გავაკეთებ კონკრეტულ განმარტებას მიხეილ რამიშვილთან ან სხვა ფიგურანტებთან დაკავშირებით, თუმცა გამოძიება გრძელდება დანაშაულში ჩართული სხვა პირების მხილების მიზნით, — ასე უპასუხა პროკურორმა დავით გუმბერიძემ ჟურნალისტების კითხვას, მოსალოდნელია თუ არა მიხეილ რამიშვილის დაკავებაც.**

**მისივე განმარტებით, თამარ ბაჩალიაშვილის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტებზე. რაც შეეხება სატელიტიდან გადაღებულ ფოტოებს, დავით გუმბერიძის განცხადებით, პროკურატურა ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობს.**

# პენიტენციური სამსახურის მიმართ უსაფუძვლო და აბსურდულმა ბრალდებებმა იმატა!

**სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში აცხადებენ, რომ ბოლო დღეებში მიზანმიმართული კამპანიის ხასიათი მიიღო მე-8 პენიტენციური დაწესებულების მისამართით უსაფუძვლო და სრულიად აბსურდულმა ბრალდებებმა. არაერთი ცილისმწამებლური განცხადება გაკეთდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მისამართით.**

24 სექტემბერს ტელეკომპანია „ფორმულამ" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს №8 პენიტენციური დაწესებულების ოთხმა პატიმარმა თვითდაზიანებები იმიტომ მიიყენა, რომ მათ დაწესებულების დირექტორი სექსუალური ძალადობით დაემუქრა. ტელეკომპანია „ფორმულას" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში გამოყენებული იყო მსჯავრდებულ შ.ჭ.-ს მეუღლისა და ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის ინტერვიუები. ადვოკატ კობაიძის განცხადებით: „ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბატონი ქინქლაძე (დაწესებულების დირექტორი) ეჩხუბა პატიმრებს იმის გამო, რატომ არ მოსწონდათ ჩაი და ამის გამო უთხრა, რომ მას გააუპატიურებდა, რაზეც ადეკვატური პასუხი ჰქონდათ პატიმრებს".

**„სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ ეს არის №8 პენიტენციური დაწესებულების დისკრედიტაციის მცდელობა. ამ მხრივ მიზანმიმართული აქტიურობით გამოირჩევა ადვოკატი კობაიძე, რომელიც არის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, აქვს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გაცხადებული გეგმა და ამ მიზნით არ ერიდება არც ტყუილს, და არც პატიმრებისა და საპატიმროების თემით მანიპულირებას. ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე გუშინვე იქნა მიწვეული კონკრეტული ფაქტების მისაწოდებლად (თუკი მას ასეთი გააჩნია) შესაბამის უფლებამოსილ უწყებაში, თუმცა მან დათქმულ დროს მოუცლელობის მიზეზით, განაცხადა, რომ მის მიერ გამოთქმული ბრალდებების დამადასტურებელი ფაქტების მისაწოდებლად გამოცხადდება დღეს საღამოს. ამავდროულად, №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ნოდარ ქინქლაძემ მიმართა შესაბამის უწყებებს მის მიმართ ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მხრიდან ცილისმწამებლურ განცხადებაში მოცემული ფაქტების სასწრაფოდ შესწავლის მოთხოვნით",** — აცხადებენ უწყებაში.

სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ ნოდარ ქინქლაძე №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორად უწყვეტად მუშაობს 2013 წლის მაისიდან და მას უკავშირდება გლდანში წინა ხელისუფლების დროს გამეფებული წამების მძიმე შედეგების წარმატებული ლიკვიდაცია და შემდგომ თითოეულ პატიმარზე ზრუნვა მისი კეთილდღეობისათვის.

**„არ არის გასაკვირი, რომ გარკვეული ძალების მიერ სწორედ ის იქნა შერჩეული დარტყმის ობიექტად. სპეციალური პენიტენციური სამსახური კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ პატიმრებითა და მათი ოჯახის წევრებით მანიპულირების მცდელობისგან და არ გამოიწვიონ დესტაბილიზაცია პენიტენციურ დაწესებულებებში"** — აცხადებენ უწყებაში.



# სახელოვანი მამულიშვილი

## აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი 100



**მრავალმხრივ გამორჩეული ადამიანის, დიდი ბიოფიზიკოსის, აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყველა ქართველისთვის. მან დააარსა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი და ბიომაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შექმნა თავისი სკოლა, იყო საქართველოში ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ფუძემდებელი.**

იმ დროს, როდესაც ჩვენში ფეხს იდგამდა მეცნიერების ახალი დარგი – ბიოფიზიკა, მ. ზაალიშვილმა პირველმა შეადგინა ბიოლოგიური ფიზიკის ზოგადი კურსის პროგრამა. 1956 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე კითხულობდა რადიობიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის კურსს, ხოლო 1962 წელს ფიზიკის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა სპეციალიზაცია „ბიოფიზიკა" და შემდგომში მის ბაზაზე შეიქმნა ფიზიკის ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს მოლეკულურ ბიოლოგიასა და ზოგად და უჯრედის ბიოფიზიკაში.

1962 წელს, როდესაც დიდი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის თაოსნობით ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა საქართველოში პირველი ბიოფიზიკური ლაბორატორია და შემდგომში ბიოფიზიკურ სექტორად შეიცვალა, მას სათავეში ჩაუდგა უკვე გამოცდილი მეცნიერი მალხაზ ზაალიშვილი, სწორედ ამ მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში თანამედროვე ბიოლოგიის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა რადიობიოლოგია, ბიოფიზიკა და მოლეკულური ბიოლოგია.

დიდმა სამეცნიერო პოტენციალმა და აგრეთვე ბიოფიზიკის სექტორში დამუშავებული პრობლემების მნიშვნელობამ განაპირობა 1986 წელს ბიოფიზიკის სექტორის ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის შექმნა, რომლის დირექტორადაც მ. ზაალიშვილი იყო არჩეული და მას 2000 წლამდე ხელმძღვანელობდა.

აღნიშნულ ინსტიტუტში მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევა ბიოლოგიური მოძრაობის ბიოფიზიკის, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკა-ქიმიის, გენომის მოლეკულური ორგანიზაციის მიმართულებით.

1963-68 წწ. მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით პირველად იქნა დადგენილი, რომ მიტოქონდრიები არ შეიცავენ მიოზინის მსგავს ცილას და ამდენად მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილება არ ეფუძნება აქტინმიოზინის ურთიერთქმედებას, რაც შემდეგ ამერიკელმა მეცნიერებმა დაადასტურეს. გაჯირჯვებული მიტოქონდრიის შეკუმშვა განპირობებულია ინოზიტოლფოსპატიდით, რაც ააქტივებს არამიოზინურ ATP-აზას. ამით შეიცვალა აზრი იმის შესახებ, რომ მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილებას შეეძლო დიდი სამსახური გაეწია კუნთის შეკუმშვის მექანიზმის შესასწავლად.

ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევაა მალხაზ ზაალიშვილის შრომები კუნთის ფიზიკურ-ქიმიური ორგანიზაციის კვლევის დარგში.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ცნობილი გახდა, რომ კუნთი გარდა ძირითადი შეკუმშვადი ცილებისა, შეიცავს დიდი მოლეკულური მასის მქონე, ე.წ. გიგანტურ ცილებს: ტიტინს, ნებულინს და გლუვ კუნთში ცილა სმიტინს. ჯერ კიდევ 1984 წელს მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით, რენდგენოსტრუქტურული მეთოდით დადგენილი იყო, რომ გიგანტური ცილა ტიტინი შეიცავს კოლაგენის ტიპის ფრაგმენტს. ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ ტიტინის მოლეკულის ორი მესამედი წარმოდგენილია β-სტრუქტურის, ხოლო ერთი მესამედი მარცხენა სპირალის სახით.

პირველად მ. ზაალიშვილისა და თანამშრომლების მიერ ნაჩვენები იქნა, რომ გიგანტური ცილა სმიტინი შედის არაკუნთოვანი უჯრედების შემადგენლობაში (ტვინი, ღვიძლი).

მისი ხელმძღვანელობით კონსტრუირებული იყო კალორიმეტრი, რომლის გამოყენებითაც დადგინდა მრავალი მაღალმოლეკულური, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთის (დნმ, კუნთის ცილები) ლღობის პროცესის თერმოდინამიკური პარამეტრები.

60-იანი წლებიდან მ. ზაალიშვილი იწყებს მუშაობას კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. ის გამუდმებულად იკვლევს იმ პროცესების მომწესრიგებელ ფერმენტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით შეისწავლება ის ფერმენტები, რეპლიკაციისა და ტრანსკრიპციის პროცესებს რომ აწესრიგებენ არქიბაქტერიებსა და ეუკარიოტებში.

მ. ზაალიშვილისა და მისი თანამშრომლების მიერ გამოიყო და გასუფთავდა დნმ-დამოკიდებული რნმ-პოლიმერაზა ვირთაგვის თავის ტვინის ბირთვებში.

თერმოფილური ორგანიზმებიდან მიღებული იყო თერმოსტაბილური დნმ-დამოკიდებული დნმ-პოლიმერაზას სუფთა პრეპარატი (დ. ფრანგიშვილი, მ. ზაალიშვილი და სხვ.), რომლის შეზღუდული ჰიდროლიზის შედეგად გამოიყო დაბალმოლეკულური ფრაგმენტი. ეს უკანასკნელი კი გამოყენებული იყო შიდსის დიაგნოსტიკაში.

70-იანი წლებიდან მ. ზაალიშვილი თანამშრომლებთან (რ. ქაცარავა და სხვ.) ერთად იწყებს ამინომჟავების შემცველი ახალი ტიპის მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიური სინთეზის კვლევას (ბუნებრივი ცილების სინთეზური ანალოგები), შემუშავებული იქნა ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების სინთეზის ახალი მეთოდი, ე.წ. „აქტივირებული პოლიკონდენსაცია", რომელიც პოლიმერების სინთეზის აქამდე ცნობილ ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, გამოირჩევა თავისი სიმარტივით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა სინთეზირდეს პოლიმერული მატარებელი ხანგრძლივი მოქმედების სამკურნალო პრეპარატებისა და ადვილად განწოვადი სამედიცინო დანიშნულების პოლიმერების მისაღებად, რომელთაც შეუძლიათ, შეცვალონ ძვირად ღირებული ბუნებრივი წარმოშობის მასალები.

აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის მონოგრაფია „კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები" (1971 წ.) სამართლიანად ითვლება სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნად. ჟურნალ ბიოქიმიაში (Биохимия АН СССР Т 39 №3 ст. 672 –673 1974) გამოქვეყნებული რეცენზიის თანახმად, მ. ზაალიშვილის ეს მონოგრაფია არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუნდამენტალური მონოგრაფია, რომელშიც ავტორი აყალიბებს ბიოლოგიური მოძრაობის მნიშვნელოვან პრობლემებს.

1972 წელს მ. ზაალიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1974 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება ბიოფიზიკაში.

1979 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1990-2004 წლებში მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2004-2006 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

ბატონი მალხაზი არის 14 გამოგონების და 250 მეცნიერული შრომის ავტორი. მის მიერ შექმნილია მთელი რიგი ორიგინალური მეთოდები და დანადგარები.

დიდია მალხაზ ზაალიშვილის ამაგი საქართველოში ბიოფიზიკოსებისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტთა თაობების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 10 სადოქტორო და 45 საკანდიდატო დისერტაცია.

მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბიოტექნოლოგიისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის პრობლემების საუწყებათაშორისო სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის" და „მეცნიერება და ტექნიკის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, იყო „სევის" წევრი ქვეყნების საკორდინაციო ცენტრის ექსპერტი.

მალხაზ ზაალიშვილი იყო კუნთის შეკუმშვის ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე (1968 წ.), მეოთხე (1974 წ.) და მერვე (1987 წ.) სიმპოზიუმების ორგანიზატორი, ამიერკავკასიის I, II და III რეგიონალური სკოლის ხელმძღვანელი.

იგი მონაწილეობდა კემბრიჯში გამართულ ბიოლოგიური ფიზიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმში (1968წ), ბიოფიზიკოსთა მეორე (ვენა, 1966 წ), მესამე (ბოსტონი, აშშ, (1969 წ.) და მეოთხე (მოსკოვი, (1972 წ.) საერთაშორისო კონგრესებისა და „სევის" ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის ექსპერტების სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში (პრაღა, 1985 წ.) და სხვა.

ბატონი მალხაზი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

1997 წელს აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი დაჯილდოვდა „საქართველოს ღირსების" ორდენით.

მალხაზ ზაალიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ანცვიფრებდა გარშემომყოფთ შესანატრი მეხსიერებით, უშრეტი ენერგიით, მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, დაუოკებელი ენთუზიაზმითა და მაღალი პროფესიონალიზმით. ვისურვებდით, რომ ქართულ მეცნიერებას ჰყავდეს ბევრი ისეთი ერთგული მსახური, როგორიც იყო ბატონი მალხაზ ზაალიშვილი.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება**

# თქვენს ფრთებქვეშ აღვიზარდეთ!

**ბატონო მალხაზ, ერთხელ თქვით, 100 წლამდე ვიქნები, მერე ვნახოთო. ნამდვილად იქნებოდით, მაგრამ ბოლოს გულმა გიღალატათ.**

**ბატონო მალხაზ, თქვენ ნამდვილად დიდი მეცნიერი, „მეცნიერების ბერმუხა" იყავით. თქვენ ნამდვილი ინტელიგენტი, ცოცხალი ენციკლოპედია, გამჭრიახი გონების, ფენომალური ნიჭის მქონე, უშრეტი ენერგიის და შესაშური მეხსიერების მქონე მეცნიერი იყავით. ეს თვისებები უფალმა გიბოძათ, თქვენ ხომ ჯვართამაღლებას (27 სექტემბერს) იყავით დაბადებული.**

**ბატონო მალხაზ, მე და ჩემი მეგობრები თქვენს ფრთებქვეშ აღვიზარდეთ. თქვენ გვაზიარეთ მეცნიერებას და გვასწავლეთ ნამდვილი მეცნიერული კვლევა.**

კაცის ცხოვრება წლებით კი არა, მისი დატოვებული საქმით ისაზღვრება. საქართველოში თქვენ დააარსეთ ახალი მიმართულების – მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი და ბოლომდე ხელმძღვანელობდით მას. შექმენით ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თქვენს გარშემო შემოიკრიბეთ არაჩვეულებრივი კოლექტივი და აღზარდეთ შესანიშნავი ახალგაზრდა მეცნიერები.

შესაშური შემოქმედებითი ნიჭი გქონდათ. იყავით რამდენიმე ახალი გამოგონების ავტორი. შექმენით დანადგარი, რომელიც ერთდროულად ერთსა და იმავე სინჯში საზღვრავდა კუნთის შეკუმშვის მექანიკურ ეფექტსა და ფერმენტულ აქტივობას. ეს დანადგარი გამოყენებული იყო რამდენიმე სადისერტაციო სამუშაოს შესასრულებლად.

ბატონო მალხაზ, თქვენ თითოეულ თანამშრომელს უფრთხილდებოდით. როცა რომელიმეს რაიმე უჭირდა, გვერდზე მიუჯდებოდით და ეხმარებოდით. ჩვენს ძველ სამუშაო რვეულებში ხშირად ვნახულობთ თქვენი ხელით გაკეთებულ ჩანაწერებს, შენიშვნებს, გამოთვლებსა და ზოგჯერ დასკვნებსაც კი. თქვენ იყავით ქვეყნის მოყვარული ადამიანი და მისი კეთილდღეობისთვის როგორც შეგეძლოთ ისე იბრძოდით. აი, რას წერდით 2012 წელს ერთ-ერთ წერილში: „ჩემს ქვეყანას თუ დასჭირდა, 92 წლის ასაკში პოლიტიკური მოღვაწე გავხდები".

ბატონი მალხაზის მიერ დადგენილი ექსპერიმენტული ფაქტები და მოვლენები შევიდა მის მონოგრაფიაში (კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები, 1971 წელი), რომელიც სამართლიანად ითვლება სამაგიდო წიგნად სპეციალისტებისთვის, რომლებიც შეისწავლიან კუნთის ფიზიკო-ქიმიას. „ჟურნალ ბიოქიმიაში" გამოქვეყნებული რეცენზიის თანახმად ზაალიშვილის მონოგრაფია **„შეიძლება განხილული იქნეს ბოლო წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური პრობლემებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტალურ მონოგრაფიად"**.

ბატონი მალხაზი ავად არასოდეს ყოფილა, გული არასოდეს აწუხებდა. ბოლოს მისი გულისტკივილი იმის გამომწვევი იყო, რაც საკუთარი ძალისხმევით აშენებული ინსტიტუტის დანგრევა-განადგურებამ მიაყენა. ამან საშინლად იმოქმედა, მაგრამ ტკივილი ვაჟკაცურად გადაიტანა. სულ ჰქონდა იმედი, რომ საქართველოში მეცნიერება განვითარდებოდა, მაგრამ ეს იმედი საბოლოოდ გადაეწურა ინსტიტუტის საბჭოს წევრებთან, განათლების ყოფილ მინისტრთან (ჯეჯელავა) შეხვედრის შემდეგ, შეხვედრის დროს მინისტრის საუბრებმა ისე ცუდად იმოქმედა ბატონ მალხაზზე, რომ თავი ცუდად იგრძნო, სხდომა დატოვა. იმ დღეს შემდეგ გულმა უმტყუნა, ექიმებმაც ვერაფერი უშველეს და 2016 წლის სექტემბერში გული საბოლოოდ გაუჩერდა.

ბატონი მალხაზი ყველას უკვდავი გვეგონა, ვერ ვიფიქრებდით, რომ რაიმე დაემართებოდა.

ბატონმა მალხაზმა ყველას გული დაგვწყვიტა, ამიტომ თან წაიყოლა უამრავი ადამიანის ცრემლი. ბატონი მალხაზის სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან მან კარგი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები დატოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი მალხაზის სული.

**თქვენი აღზრდილების სახელით**
**ნელი გაჩეჩილაძე**



მეუღლესთან ეფემია გედევანიშვილთან, ქალიშვილთან ნესტან ლეონიძესთან და შვილიშვილთან გოგლიკოსთან ერთად.

*გურამ გოგიაშვილი*

# ჩემი გიორგი ლეონიძე,

## ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათერძა



არადა, ჯერ მარტო გოგლას იმდროინდელი პუბლიცისტიკა შეადგენდა, ალბათ, ერთ უზარმაზარ ტომს. ჭაბუკობის დროინდელ პოეზიას ხომ ნუღა იტყვით! გოგლა მხოლოდ 18 წლისა იყო, როცა გაზეთ „საქართველოში" გამოაქვეყნა დასტურ ლექსი-მანიფესტი „თამარ!", რომელიც შემდეგ 2008 წლამდე არსად აღარ დაბეჭდილა და რამდენი ამისთანა შედევრი! ლიტონი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, მკითხველსაც შევთავაზებ „თამარს!", ბევრისთვის, ალბათ, დღესაც ნაკლებად ცნობილს:

თამარ!

„რა ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი ჩემნი –

ოდეს კრძალვით ვახსენებ შენს გვირგვინოსანს სახელს, ჰოი, თამარ!

გაზაფხულს ესწორე და ვარდებში განეწესე, ყირმიზის იაგუნდის გაღიმებით სამშობლო გაინათე!

შენი სახე საქართველოს სანთელია, თვალთმშვენიერო!

ვაჰ მე! ვაჰ მე! საქართველოსთვის მხიარული დღენი ვერ მიპოვნია. შენც უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ, რომ კვლავ ვერ შევესწრებით სხივთა დღესასწაულს...

ჩვენ ვიცით, რომ ორჯერ ვარსკვლავი არ გაგვინათებს!

და კვლავ შეგნატრით, გაუმეორებელო მზევ, გაზაფხულის ღელის ყვავილო!

აჰა, სამშობლო ჩემი, როგორც ანგელოსი სუსტფრთებიანი, უიმედოდ აწყდება წყვდიადს, მაგრამ შენი შორიელი სახე თეთრ-ვარდიან ბრწყინვალებით უნათებს აღთქმულის გზა-ბილიკს!

მოუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები, ბრწყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს... არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს მტრის შვილდოსნისგან დაკოდილი ქართლოსიანი სასოებით მხოლოდ შენ შემოგძახის: თამარ! ჰოი, თამარ!"

ჰყვავის და ჭკნება საუკუნე; ჰყვავის მწუხრი და განთიადი, ხოლო სახე შენი ჰგიებს დაუმჭკნარი, ღიმილის ელვით ოქროცურვილი.

საუკუნეთა ბინდში მხოლოდ შენ გპოვა ერის სალამურმა, მხოლოდ შენ მოგკრა თვალი საქართველოს დედამ!.. და გიხმობთ შველად: თამარ! ჰოი, თამარ! ივერია იავარ იქმნა!

მეც ძაძით შევიმოსე გული, მე ღამის სიჩუმეში ვარ – ღამეში ჩამარხული, და სიჩუმით ვახსენებ შენს სახელს. მე არ მაგიჟებს დროშების ჟღრიალი და შენი სახელის ხსენება საგმირო სიმღერაში, მე მხოლოდ ჩუმად გლოცულობ შენ!

მთვარის ნაპერწკლებით და ოქროს ძაფებით შენს მზიურ სახეს შავ ნისლებში ვქარგავ, ჰოი, თამარ!

მე მიხარიან, რომ საქართველო შენის სახელით შეიმოსა. მე მიხარიან, რომ შენ ედედოფლე მას – უკვდავი მშვენიერება და სიხარული! და კვლავ თაყვანსა გცემ, თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!

გულს ვეღარ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა, უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე, უკვდავია, რადგანაც შენით უჭკნობ მშვენიერებას ეზიარა –

ჰოი, თამარ!"

**როცა** პოეტის ოჯახის ზოგიერთი წევრის გამო მძიმე აზრს გამოვთქვამ, თვალწინ მიდგება ვერის ბაზარში სამჩანთიანი (ჩანთა, საბა იტყოდა, სხვათა ენააო, ქართულად ხილინდარი ჰქვიაო, აუცილებლად განმარტავდა ჩანთის ხსენებისას გოგლა) გიორგი ლეონიძე, რომელმაც თავის უძვირფასეს და უმშვენიერეს ასულთ რუსთაველის ჯავარსრულ დიაცთა სახელები დაარქვა, და იქვე ტრიალებენ გოგლას უსაყვარლესი შვილიშვილები, რომელნიც სიცოცხლეს ერჩივნა ქართული პოეზიის შეუცვლელ ლოტბარს, ჭეშმარიტად დიდ პაპას... ამის მეტს არცრას არ ვიტყვი, მიმხვედრი თავად მიხვდება, რის გულისტკივილიანი თქმაც მინდა...

**ვერის ბაზარი** იმხანად გამომცემლობა „სამშობლოს" წინ იყო (რომელი გამომცემლობაც მერე, უკვე 40 წლის შემდეგ, ყაჩაღურად წაგვართვა და ათობით რედაქცია ქუჩაში გამოგვყარა სრულიად შემთხვევით გაპრეზიდენტებულმა დორბლიან-წვინტლიანმა, წადი-მოდი ჭკუის ვინმე სააკაშვილმა). გოგლა, როგორც უკვე ვთქვი, ყოველთვის სამი ჩანთით დადიოდა იმ ბაზარში, ორი ჩანთა, რასაკვირველია, მძღოლს ალეკოს ეჭირა ხოლმე. ერთხელაც სწორედ იმ დროს ჩავედი ბაზარში შესვენებაზე, გოგლა მწნილის საყიდლად მემწნილე შუშანასთან რომ იდგა. მოდი, ბიჭო, მე უნდა დაგპატიჟოო, მითხრა. რაღა ამისგან ყიდულობთ, გიორგი ბატონო. ეს ქალი ძალიან მეძვირეა-მეთქი. უყურეთ ამ გაპუტულს, რა მაკადრაო, მაინცდამაინც მტკივნეულ ადგილას დამაჭირა ფეხი ახალთმისცვენადაწყებულს შუშანამ; და ცეცხლი წამეკიდა. იღბლად ლეონიძეს იყო ადევნებული ბაზრის დირექტორი, გვარად კვიტაიშვილი, მაღალი, ზორბა კაცი, იქ ახლოისად ტრიალებდა. მივვარდი, ასე და ასე-მეთქი, მაშინვე წამომყვა. ეს რა გიკადრებია, შუშანა, ამ ახალგაზრდა კაცისთვისო. ეს იცი, ვინ არის, გაზეთში გაგწერს და მერე შენზე მეტს მე მომცხებენო. არა, ბატონოო, შუშანამ, მაგას როგორ ვაკადრებდი, დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილა და გაბუტული ხო არა ხარ-მეთქი, ვუთხარი, გაპუტული საიდან მოიგონაო. გოგლას გულიანი სიცილი აუტყდა, ნამდვილად უნდა ვაპატიოთ წაუვალ-მოუვალი სიტყვა-პასუხი, მემწნილე კია, მაგრამ პოეტური ნიჭის ქალი ყოფილაო, იშვიათი რამ რითმა მოიმარჯვაო. დავუჯერე გოგლას, სხვა რა უნდა მექნა.

**იყო ერთი** კარგი ქართველი კაცი, ჟურნალ „სოფლის მეურნეობის" მთავარი რედაქტორი, ჩემი უფროსი მეგობარი გიორგი ჩაგელიშვილი, რომელსაც ყველა პატივს მიაგებდა, შინაურიც და გარეულიც. როგორც რომ სუყოველ საქმეში, გიორგი იმ მხრივაც გამორჩეული იყო, რომ მძღოლებს ხშირად იცვლიდა. შეატყობდა თუ არა თუნდაც სულ ოდნავ სიცუღლუტეს, ეგრევე ემშვიდობებოდა. ახლაც უმძღოლოდ იყო და მე მთხოვა, იქნებ მინახო ვინმეო. ზედდატანებით ერთ ჩემს უნივერსიტეტელ მეგობარს ნათხოვნი ჰქონდა, ერთი ნათესავი მყავს, ჯარიდან ახალი დაბრუნებულია, გვარად უნგიაძეაო, სხვათა შორის კუბაში მსახურობდა და თვითონ ფიდელ კასტროს ემძღოლებოდაო. ერთი სიტყვით, ჩემი, თუ უფრო ფიდელ კასტროს ხათრით, გიორგიმ აიყვანა მძღოლად უნგიაძე, რომელმაც პირველსავე დღეს მაშინდელ ლენინის მოედანზე პირდაპირ ბელადის ძეგლის კვარცხლბეკს დაახალა შემობრუნებისას მანქანა, შავი ვოლგა, მანქანაც დააზიანა და კვარცხლბეკის ძირიც (ვინ იფიქრებდა, რომ გამოხდებოდა ხანი და პროლეტარიატის ბელადს საერთოდ ჩამოაგდებდნენ იმ კვარცხლბეკიდან!). სად იყო, სად არა, თურმე უცებ გაჩნდა მილიციელი და გიორგის განყოფილებაში წაყვანას უპირებდა. გიორგი ბუზს არ ისვამდა თავზე და მილიციაში როგორ გაჰყვებოდა. იყო თურმე ერთი გაწამაწია. არ ვიცი, შემთხვევით მოხდა თუ რა, სწორედ იმ დროს ჩიტაძის ქუჩიდან იღბლად მომავალ გიორგი ლეონიძეს ჩაუვლია. ის კარგად იცნობდა გიორგი ჩაგელიშვილს და ეგრევე მანქანა გაუჩერებია, მილიციელს უცვნია საყვარელი პოეტი და მხედრულად მიმშვიდობებია. მოკლედ, გიორგი ლეონიძე რომ არ ჩარეულიყო, ჩაგელიშვილი იქნებ პარტიიდანაც გაერიცხათ ბელადის შეურაცხყოფისთვის.

მორჩა, გოგიაშვილის რჩევით მე მძღოლის ამყვანი აღარა ვარო, ტუქსავდა თურმე გიორგი ჩაგელიშვილი უკვე მოხსნილ მძღოლს. მე შენ გეტყვი, თვითონ არ იცოდა თუ რა, მანქანის ტარება... მერე, როცა კი ხვდებოდა გიორგი ჩაგელიშვილს, გოგლა სიცილით გაუხსენებდა ხოლმე, ჰა, როგორ იყო პროლეტარიატის დიდი ბელადის რისხვას რომ გადაგარჩინეო... თუკი ტარება იცი, სხვა რად გინდა, შენ თავად იმძღოლეო.

**1965 წელია,** შემოდგომის პირი. გოგლამ, ჩვეულებისამებრ, ქვემოდან ვახტიორს დაარეკინა, ჩამოდი, გიორგი ლეონიძე გელოდებაო: ორიდან სამ საათამდე დროდადრო დარეკავდა ხოლმე და ერთ-ერთ რომელიმე ღვინის სარდაფისკენ აიღებდა გეზს. ის სარდაფები თუ სამარხანოები სწორედ გიორგი ლეონიძის წყალობით ჰქონდათ გახსნილი კახელ მეღვინეებს, უმთავრესად საგარეჯოელებს. მეტადრე ერთ-ერთი სარდაფი ჰქონდა ამოჩემებული, სადაც ფიროსმანის მოქეიფე კახელთა ასლი ეკიდა „მირზაანის კალოს" ასლის გვერდით... რომ ჩავედი, გამომცემლობის წინარე გოგლას სოსო ელაპარაკებოდა, გრიშაშვილი. წინადღეს ზღვიდან დაბრუნებულიყო და, სად ისვენებდიო, გოგლამ რომ ჰკითხა, ვერ გაიხსენა. გაგრიდან რომ დაიწყო, როდის-როდის ჩამოვიდა ბათუმში.

გოგლამ შესთავაზა, რახან ახალი ნააგარაკევი ხარ, უნდა დაგპატიჟო, სწორედ ამიტომ ჩამოვიყვანე ეს ბიჭიცო, ჩემზე უთხრა: არა, კაცოო, შენ მშრალი საჭმელი გიყვარს, კუჭს ამატკიებსო, გრიშაშვილმა; და ზედა ტუჩის, კურდღლის ტუჩის, ნახევარი შეუთამაშდა. კარგი, რახან ეგრეა, შენ დაგვაპატიჟეო, გოგლამ, და წავედით, ცხადია, გოგლასივე მანქანით რესტორან „თბილისში". გოგლა ჩვეულებრივ ხუმრობის იშტაზე იყო. გრიშაშვილს უკვე გულმავიწყობა სჭირდა და გოგლას ხუმარ სიტყვას გულგრილად ხვდებოდა. სადილხადილს რომ მოვრჩით, სოსომ ანგარიში მოსთხოვა ოფიციანტს, ჩახედა, ჩაათვალიერა და შეუძახა, შავი ხიზილალა რატომ არ მოგვიტანეო, აქ ხომ წერია, ფასის მიწერა კი არ დაგვიწყებიაო, ახლავე წადი და მოიტანეო. ოფიციანტი წავიდა, მოიტანა ერთი თეფში კარგა ბლომად შავი ხიზილალა და ბოდიში მოიხადა. ამის ფული აიღე, დაჯექი და ახლა შენა ჭამეო, ეგ შენი ბოდიშიც ზედ მიაყოლეო, გაბრაზებულმა უთხრა გრიშაშვილმა. კარგი, სოსო, ახალგაზრდა კაცი ნუ გააგიჟე, შენ სად ისვენებდი, აღარ გახსოვს, ამას ხიზილალის მოტანა დაავიწყდაო, აპატიე, რა მოხდაო, გოგლამ, და წამოვედით. სოსო გაებუტა გოგლას, რატომ მე არ დამიჭირე მხარიო, მანქანაში ძლივს ჩავსვით. კიდევ კარგი წამოვიყვანეთ, თორემ ვაითუ სახლიც ვეღარ მიეგნო, ამბობდა მერე გოგლა, უკვე ფიროსმანიან სარდაფში მორიგი შეხვედრისას.

**ძველი დღიურიდან:** დღეს რედაქციაში ამოვიდა ი. გრიშაშვილი. ძალიან მობერებულა, როგორც იტყვიან, გულდაყვავილებული გამოიყურება, ახლახან დაბრუნებულა ბორჯომიდან. დიდად ემადლიერება წურბელებს. ერეკლეს დროსაც წურბელა შველოდა ამნაირ საქმეს და დღესაცო. სონეტი წურბელას, ასეთი რამ უნდა დავწეროო. ძირს ჩავაცილე. იქ ემზარიც მოვიდა, კვიტაიშვილი.

სოსომ მოლა ნასრედინის ამბავი მოიგონა. მოლა გუბეზე რომ გადახტა და წყალში ჩავარდა. აფსუს ჩემო ახალგაზრდობაო, უთქვამს მოლასო. მერე გაუხედავ-გამოუხედავს და თავისთვის წაუბურტყუნებია, არც მაშინ ვიყავი დიდი ჩაუქი ვინმეო... ის ჩვეულებრივ ალერსიანი და საყვარელია. გოგლას გადაჰკრა. ზვიადია, ძალიან უყვარს ზიზილ-პიპილოებიო. რაკი ხარფუხში ვარ გაზრდილი, სომხებში და ოვანესს ვთარგმნი, თუმანიანს, სომეხი ვგონივარო, ეს ჩვენი სოსო სომეხიაო, ჩემზე ამბობს. რომც ვიყვე, მერე რა, მაგრამ არა ვარ, ქალაქელი ქართველი ვარ, კაცოო, – გააზამბარებდა, გაწელავდა ხოლმე ბოლო სიტყვას...

მგონი, ფიზიკურად დიდხანს ვეღარ იცოცხლებს, სულიერად კი იგი, ალბათ, რჩეულთა ხვედრით დაჯილდოებული კაცია...

სოსო, მართალია, რომ „მესაფლავე" შენია და არა გალაკტიონის? ჰკითხა ერთხელ გოგლამ. თვითონ ლექსს რა, არ ეტყობა, რომ ჩემია? კითხვა დაუბრუნა სოსომ. გალაკტიონს რად უნდა სხვისი ლექსი, როცა თავისი შედევრებიც თავზე საყრელი აქვსო, არც არასდროს არ დაუჩემებიაო, მაგას სხვებმა აწერენ, თვითონ გალაკტიონს „მესაფლავე" არც ერთ თავის თვალმიდევნებულ კრებულში არ შეუტანიაო... არ ვიცი, ეს აზრი რამდენად სწორია, მაგრამ, რაც ჩემი ყურით გავიგონე, ის დავწერე.

დღეს საღამოს რედაქციაში ამოვიდა ი. ნონეშვილი. ირგვლივ ომის საშინელი სუნი დგას (1.IX.61 წ.)

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117

# გაბითურებული „ინქორბიუროისტები“ და გაბედნიერებული ტაქსისტები

## ფელეტონის მაგიერ

**ქვეყნისა და ხელისუფლებისთვის საკმაოდ საზიანოდ, საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილში ბოგინობს აზრი, კორონავირუსი ვითომც გამოგონილი მითია, ადამიანები ისედაც იხოცებიან ნაირ-ნაირი სნეულებებით, ესენი კიდევ, კორონას ჰკიდებენ, რათა ამ მიზეზით არჩევნები გაურკვეველი ვადით გადადონ და ძალაუფლებაც — ასევეო!..**

საზოგადოდ, ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ გამუდმებით „კრიჭაში ედგეს“ ხელისუფლებას და ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო და უნებლიე შეცდომა წარამარა აყვედროს, მაგრამ, მტრისას და, ადამიანი რომ ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვლება, შენ ადგები და ხმას დაუგდებ — კიბომ კი არა, კოლიტმა იმსხვერპლა, მაგრამ ცრუობს ოჯახი, ხელისუფლებას იქნებ ცოტაოდენი ფარა დავტყუოო, — ეს ხომ უკადნიერესი თვალთმაქცობა იქნება და, რა გასაკვირია, ასეთ ოპოზიციურ პარტიაზე მის მხარდამჭერ ელექტორატს, დღეს თუ არა ხვალ, ვარდენივით შეეცვალოს აზრი!

და აი, „გაერთიანებული ოპოზიციის“ (?) ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომლის სიწრფელესა და პირდაპირობაში, ქალბატონ ირმა ჩხეიძისა და დაუვიწყარი ჯანსულ ჩარკვიანის პირმშოც რომ არ ყოფილიყო, მაინც არ შემეპარებოდა ეჭვი, ქალბატონმა თამარ (თაკო) ჩარკვიანმა პოპულარულ წონიან გაზეთში შავით თეთრზე დაწერა: **„ჯოჯოხეთური ვირუსია, ხალხო, გამორიცხეთ, რომ არ არსებობს! არსებობს და ძალიან მწარეა!“**

ჭორიკანანო! ახლა ხომ მაინც მტკიცდება, ენას რომ ძვალი ნამდვილად არა აქვს!

ახლა კი ორიოდ სიტყვა „გაბედნიერებულ ტაქსისტებზე“.


თაკო ჩარკვიანი


რამაზ შეროზია

ტაქსით მომსახურებისას იღბლად გაცნობილსა და დაახლოებულ ახალგაზრდა კაცს წარმოგიდგენთ, მოდური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ვირტუალურად, მაგრამ უნდა ენდოთ ჩემს წელთა სიმრავლეს (ლამის ცხრაათეულჯერ მოვსწრებივარ დედამიწის მზის გარშემო შემოვლას!), მისხალს არაფერს ვამატებ.

წარმოშობით ცოტნესა და გუჯის საუფლოდანაა (მეგრულად აზროვნებს და ქართულად გელაპარაკება), კერძოდ, საჯიჯაოდან და მიკვირს, დღემდე არ მიკითხავს — რას ნიშნავს სახელმწიფო ენაზე „საჯიჯაო“, ქრისტეს ასაკს სამი წელიწადი აშორებს, ოცდაათისაა, უპატიოსნესია და უპატიოსნოების მოძულე, უმაღლესდამთავრებული და ღვთისმოშიში, მგზავრობის თანხაზე იოლად დასაყოლიებელი და, თუ იაფფასიან რეკლამად არ ჩამითვლით, მასთან შეუთანხმებლად ვასაჯაროებ იმის მობილურის ნომერსაც: 599 36 55 73, სახელად რამაზი, შესახედავად ლამაზიცაა და ბრგეც, გვარად შეროზია.

დროგამოშვებით ტაქსაობს დედაქალაქში. ისეა აწყობილი მისი ცხოვრება, რომ ოჯახში შემომტანი, ფაქტობრივად, მარტო თვითონაა.

გამოიმუშავებს ჭიჭე ფარას (ცოტაოდენ ფულს), მიაშურებს მშობლიურ სოფელს, დღედაღამ თავს დასტრიალებს საკუთარ მამულს, შვილივით ნაზარდ ვაზსა და სიმინდის ყანას, თხილნარს, აბალახებს და არწყულებს რამდენიმე მეწველ კამეჩსა და ფურს ხბორებიანა.

შემოდგომაზე ჭირნახულის აღებადაბინავებაშიც მიეხმარება მშობლებს. ჭირია თუ ლხინია, ძეობაა, ნათლობაა, წლისთავია, „ორმოცია“, ჩაცმაა, დახურვაა, მტერია თუ მოყვარეა!..

სახსრებია საჭირო! ვერ აუდის თხილი და კვირაში ვედრო ყველი და მაწონი ამ სახსრებს. კვლავ მოაშურებს ანდამატივით მიმზიდველ თბილისს, ისევ „დღე პირველი — დღე უკანასკნელივით“ დაგრიალებს ის და მისი ავტომობილი დედაქალაქის ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან და, თითქოს მანქანამაც ენა ჩაიდგაო, ესალმებიან მონატრებულ თბილის-ქალაქს.

მკითხველს, იქნებ, კიდევაც მოსწონდეს წარმოსახვით გაცნობილი ეს ახალგაზრდა კაცი, მაგრამ სადამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს და გაჭიანურდეს თხრობა! რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, ისეთი, რის გამოც მოგიყევით ყოველივე ეს?!

აი, რა ხდება! პანდემიის გამოისობით, ლამის მთელი ზაფხული რამაზმა სოფლად გალია. რა თქმა უნდა, საქმე არც იქ გამოლევია, მაგრამ, საქმე ის იყო, რომ კოვიდ-19-ის გამოისობით ჩაკარანტინებულ თბილისში ტაქსაობას, როგორც იტყვიან, აზრი აღარ ჰქონდა! საწვავის ფულსაც ვერ აგროვებდნენ სევდამორეული მძღოლები.

დადგა, როგორც იქნა, სექტემბერიც. ნელ-ნელა და დღითიდღე, ჯერ მცირედ, მერე და მერე უფრო და უფრო, იმატა და იმატა მგზავრთა რაოდენობამ, შესაბამისად, გამომუშავებულმა თანხამაც და დღეს უკვირს რამაზსაც და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სხვათაც — საიდან ასეთი მოულოდნელი ღვთის წყალობა?!

**თქვენც ხომ არ გაგკვირვებიათ, პატივცემულო მკითხველნო?**

**საიდან და იქიდან, რომ პიკს აღწევს საარჩევნო კამპანია!**

**საიდან და იქიდან, რომ პარტიები და მათი „პატრონები“ ოკეანის გაღმიდან თუ ახლო სამეზობლოდან, შეჭირვებულ ელექტორატს საკმაოდ მსუყედ აფინანსებენ.**

**არ შეცდე, რამაზ! მომავალ საქართველოს შენნაირები სჭირდება!**



**თუ მაინცდამაინც წაგცდეს ხელი, შეირგე დედის რძესავით.**

**მთავარია, მანქანის სალონში შესულს არაფერი შეგეშალოს, შვილო!**

**გიზო ზარნაძე**

# გვაქვს თუ არა საკმარისი რაოდენობის ხელოვნური სუნთქვის აპარატები?

**კორონავირუსის შემთხვევების მატებასთან ერთად ჩნდება კითხვა, რამდენს გაუძლებს ჩვენი სისტემა? სიტყვაზე, ყოველდღიურად ასზე მეტი დაინფიცირების მაჩვენებელი ხომ არ გამოიყვანს მწყობრიდან ჩვენს სამედიცინო პოტენციალს?**

**ამ ეტაპზე ცნობილია, რომ კოვიდინფიცირებულებს 2400 საწოლი, 2 200-მდე სუნთქვის აპარატი ემსახურება, რაც მედიცინის მუშაკთა თქმით, ამ ეტაპზე საკმარისია კრიტიკულ პაციენტთა სამართავად. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია აცხადებს, რომ საქართველოს თავიდანვე ჰქონდა იმაზე მეტი საწოლფონდი და სუნთქვის აპარატი მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით, ვიდრე ევროპის ქვეყნებს.**

ექიმი-ეპიდემიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ოთარ ჩოკოშვილი** აცხადებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამედიცინო სისტემის მზაობა პირობითი ცნებაა. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში გამოვლენილ შემთხვევებში აღინიშნება მძიმე შემთხვევების შემცირება, ანუ მსუბუქი შემთხვევები ძალიან ბევრია. მათ შორის არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ან არაფერი არ აწუხებთ, ან ოდნავი სიცხე აქვთ ერთი-ორი დღის განმავლობაში, 38-39 გრადუსი, დალევენ სიცხის დამწევ წამალს და კარგად გრძნობენ თავს. პრაქტიკულად, მათ მკურნალობაც არ სჭირდებათ. კლინიკაში ადამიანების გადაყვანა კი აუცილებელია მაშინ, თუ სიტუაცია გართულდება. რაც მთავარია, ასეთი პაციენტები იზოლირებულნი უნდა იყვნენ საზოგადოებისგან, რომ სხვა ადამიანები არ დაინფიცირდნენ მათგან. სწორედ ეს ორი ძირითადი მიზანი იყო ამ დაავადების მართვისას.



რაც შეეხება სისტემის მზაობას, ოთარ ჩოკოშვილი აცხადებს, თუ მძიმე შემთხვევები წამოვიდა, რაც მოსალოდნელია ნოემბერ-დეკემბერსა და იანვარ-თებერვალში, შეიძლება უფრო მეტი რესურსი, მეტი საწოლი დაგვჭირდეს.

**„შარშან სულ არ იყო ახალი კორონავირუსი, მაგრამ საავადმყოფოები გადატვირთული იყო, მით უმეტეს, ბავშვთა საავადმყოფოები. უამრავი ბავშვი იყო კლინიკაში, იყო პერიოდი, ადგილებიც აღარ ჰქონდათ კლინიკაში. საბედნიეროდ, კორონავირუსი ბავშვებში მსუბუქად მიმდინარეობს“,** — აცხადებს ოთარ ჩოკოშვილი.

იმუნოლოგი **დავით ნანობაშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, თუკი ყოველდღიურად კორონავირუსით დაინფიცირებულთა ამხელა რაოდენობა იქნება, ჩვენი სისტემა ამას ვერ გაუძლებს.

„სიტყვაზე, დღეში 70 შემთხვევა ათ დღეში 700 შემთხვევაა და, თუ არ ვცდები, ხელოვნური სუნთქვის აპარატი საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდული რაოდენობითაა. თანაც, ცოტა ატიპურად მიმდინარეობს უკვე გადატანილ ადამიანებში განმეორებითი კორონავირუსი, არავინ იცის, როგორ გართულდება. ამიტომ არ შეიძლება ადამიანებზე ცდები ვატაროთ და, თუ ცუდად განვითარდება პროცესები, მერე დავიწყოთ წესრიგის დამყარება. წესრიგის მოყვარულნი უნდა გავხდეთ. მოსახლეობის 10-15% რომ ვართ კანონმორჩილი და მოწესრიგებული, ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი მოსახლეობაც ასეთია. ქუჩაში კიდევ არა უშავს, ჟანგბადის დიდი კონცენტრაციაა, თუ დღეა და მზე ანათებს, კორონავირუსის ხიფათი მკვეთრად ნაკლებია, მაგრამ დახურულ სივრცეში საფრთხე მატულობს. ამას წინათ მაღაზიაში ვიყავი, გამყიდველი ახალგაზრდა გოგო მეუბნება, პირბადეს არ ვიკეთებო. მივუბრუნდი და ვუთხარი, რატომ უქმნი ადამიანებს ხიფათს, როგორ ვიკადრო, სურათი გადაგიღო, გამოვიძახო სპეციალური სამსახური და ჯარიმა გამოვაწერინო-მეთქი“,-აღნიშნა დავით ნანობაშვილმა.

თსსუ-ის პროფესორი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი **ივანე ჩხაიძე** მიიჩნევს, რომ აქ მთავარია ორი საკითხი, ერთი, რაც ეხება პაციენტების რაოდენობას და, მეორე, უფრო მნიშვნელოვანი, ამ პაციენტებს შორის რამდენია მძიმე პაციენტი. ის ციფრები, რომელიც საქართველოშია, ის მონაცემები, რომელიც მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაშია, მიუთითებს იმაზე, რომ პაციენტების რაოდენობა მზარდია, მაგრამ მათ შორის კრიტიკული პაციენტები ძალიან ცოტაა.

**„4-5 მძიმე შემთხვევა იყო წინა თვეების განმავლობაში, პაციენტებს შორის გარკვეული ნაწილი უსიმპტომოა და მათ სულაც არ სჭირდებათ სტაციონარი. ასევე, არის საშუალო სიმძიმის, მძიმე და კრიტიკულად მძიმე პაციენტები. კრიტიკულად მძიმე პაციენტების რაოდენობაა სამედიცინო სისტემისთვის რთული, სწორედ ამ კატეგორიას სჭირდება ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტი, სადაც საწოლების რაოდენობა შეზღუდულია. თუმცა კრიტიკული პაციენტების იმ ციფრს, რაც ჩვენთან დაფიქსირებულია, ჩვენი სისტემა სავსებით მოემსახურება და სერვისის განხორციელებაში არანაირი დაბრკოლება არ იქნება“,** — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ივანე ჩხაიძემ.

**მანანა ნოზაძე**

# ვირუსმა გურიას შეუტია

**კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების მატების გამო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში გადაადგილება შეიზღუდა.**

მოსახლეობის შესვლა-გამოსვლას სამართალდამცველები აკონტროლებენ. ადგილობრივებს მუდმივად შეუმოწმებენ ტემპერატურას. სპეციალურად დაბაში მცხოვრებთათვის გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ამოქმედდა ცხელი ხაზი.



გუშინ დაბა ლაითურში 11 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და ოზურგეთში ინფიცირებულთა რაოდენობამ 61 შეადგინა. რაც შეეხება რეგიონს, გურიაში 84 კოვიდინფიცირებულია.

# დავით გარეჯი სხვისი როგორ არის?!



**24 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გააჩინა მოლოდინი, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით ვითარება შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს. თუმცა ჯერჯერობით გაუგებარია – რა მიმართულებით.**

**აზერბაიჯანელ კოლეგასთან ჯეიჰუნ ბაირამოვთან ერთად თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ზალკალიანმა თქვა, რომ მოძიებულია „მასალები, კარტოგრაფიული და ასევე ახალი დოკუმენტები“, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა, გადაიხედოს 2006-2007 წლებში გაფორმებული შეთანხმება. ისტორიკოსები ვერც მსგავს შეთანხმებას იხსენებენ და არც საქართველოსთვის უფრო სასარგებლო ახალი რუკები ეგულებათ.**

**რას ამბობენ აზერბაიჯანელი და ქართველი მინისტრები დავით გარეჯთან დაკავშირებით? რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე?**

წარმოდგენა არ მაქვს, რაზე შეიძლება ლაპარაკობდეს მინისტრი, არასოდეს მსმენია 2006-2007 წლის შეთანხმებაზე – ეუბნება რადიო თავისუფლებას ისტორიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი **ლადო მირიანაშვილი.** ის აქტიურად მუშაობს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულ საკითხებზე და პროცესებსაც ძირეულად აანალიზებს.

24 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა 2006-2007 წლებში გაფორმებული შეთანხმების „გადახედვის აუცილებლობა“ აზერბაიჯანული მხარისთვის ახალი რუკის (ან რუკების) და სხვა დოკუმენტების გადაცემის კონტექსტში ახსენა.

კერძოდ, მან თქვა:

- **„ჩვენი მხრიდან ასევე მოძიებულია ახალი დამატებითი მასალები, კარტოგრაფიული და ასევე ახალი დოკუმენტები, სხვადასხვა ექსპერტული დასკვნა“;**
- **„აზერბაიჯანულ მხარეს მივაწოდე ჩვენ მიერ მოპოვებული ეს ახალი გარემოებები და ახალი მასალები“;**
- **„ახალმა გარემოებებმა შესაძლოა, გარკვეულწილად წარმოშვას პროცესის ახლებურად წარმართვის საჭიროება. მათ შორის – არ გამოვრიცხავ, რომ იგივე 2006-2007 წელს მიღწეული შეთანხმების გადახედვის აუცილებლობა გამოიწვიოს“;**
- **„ვიმედოვნებ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მასალებზე, ახალ გარემოებებზე დაყრდნობით და მთელ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ გვექნება პროგრესი კომისიის ფარგლებში“.**



დავით ზალკალიანს დეტალები არ დაუკონკრეტებია და არც ის უთქვამს, რომელი წლებით არის დათარიღებული მოპოვებული მასალები.

**„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებობს ერთადერთი, 1996 წლით დათარიღებული შეთანხმება, რომელიც სადელიმიტაციო ორმხრივი კომისიის შეხვედრაზე იქნა მიღწეული. ამ შეთანხმების მიხედვით, მხარეებმა 1938 წლის რუკა ცნეს მოლაპარაკებების ძირითად საფუძვლად“,** – ეუბნება რადიო თავისუფლებას ლადო მირიანაშვილი.

მისი თქმით, 1938 წლით დათარიღებულ რუკაზე უფრო სასარგებლო სხვა რუკა ან რუკები მას ამ დრომდე უბრალოდ არსად ეგულება:

- **„ცხადია, ორმხრივ კომისიას სხვა რუკებიც აქვს, მაგრამ მათგან არცერთი არ არის ჩვენთვის, საქართველოსთვის უფრო სასარგებლო“;**
- **„სწორედ აზერბაიჯანული მხარე ითხოვს ხოლმე, როგორც წესი, რომ საზღვრის შეთანხმების პროცესი არა 1938 წლის, არამედ უფრო გვიანი პერიოდის, 40-იან და 50-იან წლებში შედგენილი რუკების მიხედვით წარიმართოს“.**

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული სიტუაცია 2019 წლის აპრილიდან დაიძაბა – მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯში უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი გზა გადაკეტეს და საზღვრისპირა ტერიტორიაზე მშენებლობაც მალევე დაიწყეს.

დაძაბულობას ამწვავებდა სხვადასხვა სახის აქციები, რომლებიც ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე იმართებოდა. პროტესტს აქტიურად გამოხატავდნენ სასულიერო პირებიც.



ამჟამად ისევ ჩაკეტილია გზა უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებისკენ. არ გამართლდა 2019 წლის ოქტომბერში პრემიერ **გიორგი გახარიას** მიერ ბაქოდან ჩამოტანილი დაპირება, რომ გზა სასულიერო პირებისთვის გაიხსნებოდა.

როგორც გარეჯის ლავრის მღვდელმსახურმა, არქიმანდრიტმა კირიონმა 24 სექტემბერს უთხრა რადიო თავისუფლებას, უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებამდე ისინი ჯერ ისევ ვერ მიდიან – **„როგორი მდგომარეობაც იყო ერთი წლის წინათ, არაფერი შეცვლილა“.**

სტატუს კვოს აღდგენისა და გზის გახსნის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს ჯეიჰუნ ბაირამოვს, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც თბილისს პირველი ოფიციალური ვიზიტით 24 სექტემბერს ეწვია.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ბაირამოვმა თქვა, რომ საკითხის გამწვავება დაუშვებელია, რადგან ეს აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობებს აზიანებს და მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. აზერბაიჯანელი მინისტრი გამოხატავს იმედს, რომ საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთთან დაკავშირებული საკითხი ახლო მომავალში გადაიჭრება.

**„ორივე ქვეყნის მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოებას ვურჩევ, რომ ყურადღებით მიუდგნენ ამ მნიშვნელოვან, მგრძნობიარე საკითხს და თავიანთ განცხადებებში იყვნენ მოზომილი, რათა ამან არ დააზიანოს ჩვენი ურთიერთობები...**

**საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც არ შეიძლება იყო განხილული და მოგვარებული. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ეს საკითხიც მოგვარდება“** – განაცხადა ჯეიჰუნ ბაირამოვმა.

2006-2007 წლების შეთანხმების შესახებ ინფორმაციას არც ისტორიკოსი **მიხეილ ბახტაძე** ფლობს და არც კონკრეტული რუკა ეგულება. თუმცა რადიო თავისუფლებასთან საუბრისას ის ერთ შემთხვევას იხსენებს.

**„შარშან ერთმა ჩემმა კოლეგამ მომაწოდა ინფორმაცია, რომ ნახა რაღაც ახალი რუკა. დეტალები არ ვიცი, მაგრამ ვიყავი ინფორმაციის გამტარი და ეს ინფორმაცია მივაწოდე კომპეტენტურ პირებს, რომლებიც შემდეგ უკვე დაუკავშირდნენ ამ ჩემს კოლეგას... არ ვიცი, როდინდელი და რა სახის რუკა იყო ეს“** – გვეუბნება ბახტაძე.

მან არ იცის, რა ბედი ეწია ამის შემდეგ კოლეგის ხელთ არსებულ რუკას და შესაძლოა თუ არა, რომ მინისტრი ზალკალიანი ახლა სწორედ ამ რუკაზე ლაპარაკობდეს.

**ლელა კუნჭულია**

# სომხეთი ახალი აგრესიისთვის ემზადება!..

**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ „სომხეთი ახალი აგრესიისთვის ემზადება“,** – ამის შესახებ ნათქვამია აზერბაიჯანის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც სააგენტო „ტრენდი“ აქვეყნებს.

**„წამქეზებლური განცხადებები, რომლებსაც თან ახლავს აგრესიული სამხედრო მოქმედებები, სამხედრო და სხვა პროვოკაციები, მეტყველებს იმაზე, რომ სომხეთი აზერბაიჯანის წინააღმდეგ ახალი აგრესიისთვის ემზადება“,** – ნათქვამია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც უწყება აღნიშნავს, „სომხეთის მიერ ნიკოლ ფაშინიანის პრემიერ-მინისტრობის დროს ჩადენილმა პროვოკაციებმა სერიოზულად დააზარალა კონფლიქტის დარეგულირების პროცესი და რეგიონში დაძაბულობა გაზარდა“. ამავე თემაზე ისაუბრა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.



**„ჩვენ სერიოზულად ვართ შეშფოთებულები სომხეთში შეიარაღების მიწოდების ზრდით, განსაკუთრებით სომხეთის მიერ თოვუზის მიმართულებით განხორციელებული პროვოკაციის შემდეგ. შეტაკებების ცხელი ფაზა 16 ივლისს დასრულდა. უკვე შემდეგ დღეს, 17 ივლისს კი სომხეთისთვის სატვირთო თვითმფრინავებით ათას ტონაზე მეტი სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების მოწმენი გავხდით. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა და არ აქვს საშუალება, მილიარდობით დოლარი დახარჯოს იარაღზე, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხეთს იარაღს უფასოდ აწვდიან“,** – განაცხადა ალიევმა.

მან მოუწოდა ყველა ქვეყანას, თავი შეიკავოს სომხეთისთვის შეიარაღების მიწოდებისგან, რადგან ეს ხელს უშლის მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრას.



# რაზე მეტყველებს ჩეჩნეთში აღმოჩენილი ქართული ანბანის კვალი?!

**რამდენიმე დღის წინათ ჩეჩნეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგებმა ითუმ-ყალის რაიონში იპოვეს ქვა, რომელიც შუა საუკუნეებს განეკუთვნება და მასზე არსებული წარწერა ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუშია.**

აღმოჩენის შესახებ ჩეჩნეთის მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა **აზამატ ახმაროვმა** ფეისბუკის პირად გვერდზე დაწერა.

ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი, ქართველოლოგი **მიხეილ ლაბაძე,** რომელმაც პირველმა წაიკითხა ჩეჩნეთში აღმოჩენილ ქვაზე დატანილი ასომთავრულით შესრულებული წარწერა, ამბობს, რომ აღმოჩენა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა მეცნიერების ნარატივს აცლის საფუძველს, რომლის თანახმადაც, ჩრდილოკავკასიური ენები უმწერლობო ენებად იყო გამოცხადებული.

არქეოლოგიური აღმოჩენა, მისი თქმით, სულ ცოტა, იმას ცხადყოფს, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხები ქართულ ანბანს ნამდვილად იყენებდნენ.

აზამატ ახმაროვი ქართველ მეცნიერს მიხეილ ლაბაძეს თავად დაუკავშირდა და არქეოლოგიური აღმოჩენის გაშიფვრაში დახმარება სთხოვა.

რამდენიმე წლის წინათ ჩეჩენ მეცნიერთა ჯგუფს ჟურნალში „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები" სტატიის გამოქვეყნება სურდა 70-იან წლებში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერების თაობაზე. სწორედ მაშინ შედგა პირველი ნაცნობობა.

**„2015 წელს ჩრდილო კავკასიიდან, დაღესტნიდან იყო ჩამოსული დაღესტნელი ისტორიკოსი შაჰბან ჰაფიზოვი, რომელმაც დაღესტნიდან 100 ცალი ქართული წარწერა ჩამოიტანა, თავისი და სხვადასხვა მკვლევრის მიერ მიკვლეული და შესწავლილი, ამ წარწერების საფუძველზე დაწერა სტატია. სტატიაში საუბარი იყო ჩვენს მოსაზღვრე მხარეებში, ხუნძეთში (დაღესტანი) ქვის ჯვრებსა და ქვებზე აღმოჩენილი ქართული წარწერების შესახებ. როდესაც ეს სტატია გამოქვეყნდა, ჩვენს უნივერსიტეტს (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი) დაუკავშირდა ორი ჩეჩენი მეცნიერი, სულთან ისაევი და აზამატ ახმაროვი, მათ გვამცნეს, რომ ჩეჩნეთში, ჩვენს მოსაზღვრე ითუმ-ყალის რაიონში და შატოის რაიონშიც იყო აღმოჩენილი ასეთი წარწერები, მაგრამ დაღესტანში აღმოჩენილისგან განსხვავებით, გაბმული წარწერები არ ყოფილა, იყო ფრაგმენტული წარწერები და საკუთარი სახელები ჭურჭლებზე, ქვებზე და ა.შ.",** — ყვება მიხეილ ლაბაძე.

საგულისხმოა, რომ ჩეჩნურ საკუთარ სახელებთან ერთად, 70-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეულ ქვაზე იკითხებოდა ქართული სახელის „თამარის" შემოკლებული ვარიანტი.

**„ერთ-ერთ ქვაზე ეწერა სიტყვა „თამრ", შემოკლების ნიშანი იყო გამოსახული და შეიძლება ყოფილიყო „თამარ", მაგრამ ვინ იყო ეს „თამარი" და რატომ იყო ეს წარწერა იქ, ჩვენ ამაზე ჯერჯერობით პასუხი არ გვაქვს. ჩვენ ამ კვლევა-ძიებაში ოფიციალურად ჩართულები არ ვართ, ჩვენ მათ მოგვმართეს იმიტომ, რომ უნდოდათ ჩვენს ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება ამ წარწერებზე და ახლაც იგივე მიზნით დაგვიკავშირდნენ, რომ ამ ჟურნალში გამოაქვეყნონ თავისი ნაშრომი და კონსულტაციის დონეზე ვითანამშრომლოთ",** — ამბობს მიხეილ ლაბაძე.

როგორც ჩეჩენი არქეოლოგი აზამატ ახმაროვი უყვება რადიო თავისუფლებას, ჩეჩნეთში ქართული ასომთავრულის გამოყენებით დაწერილი ჩეჩნური სიტყვები პირველად 1975 წელს ცოი-ფხედის (მკვდრების ქალაქის) არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს — ხის თასზე ქართული ასომთავრულით იკითხებოდა ჩეჩნური სახელი „გიზეგო".

1976 წელს იმავე კომპლექსში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას იპოვეს თიხის ფინჯანი, რომელზეც ეწერა სახელი „მადაი", რაც ასევე ჩეჩნური სახელია.

შემდგომში ჩეჩნეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევების ცენტრმა ჩატარებული გათხრებისას ზუმსოიში, მიაკვლია სამი ქვის ბლოკს წარწერით — „მე ცოდვა არ ჩამიდენია".

**„ერთ-ერთ ბლოკზე წარწერაა „მე ცოდვა არ ჩამიდენია", ამასთანავე, არის ბლოკი, სადაც წერია „თამრ", ეს ძალიან ცნობილი და პოპულარული სახელია, ვიცით, რომ საქართველოს მეფე იყო თამარი და წარწერის ფორმა შეესაბამება მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებს",** — ამბობს აზამატ ახმაროვი.

რაც შეეხება ახალ აღმოჩენას, ქვა იპოვეს ჩეჩნეთის სოფელ ბაულოიში ითუმ-ყალის რაიონში, შატილიდან 20-30 კილომეტრის დაშორებით, დარღვეული ძველი მეჩეთის ნანგრევებში.

როგორც მიხეილ ლაბაძე განმარტავს, ქვაზე დატანილი ტექსტი არის ფრაგმენტული, სამი რიგისგან შემდგარი, წარწერის რიგები არ მიჰყვება ერთმანეთს, ქვა გატეხილია, ისე, რომ სამშენებლო ბლოკის დანიშნულებით გამოდგეს.

**„წერია „ქრისტე სული მისი" მერე წერია „ჴას" (ხას) — „ხარი"-ს ძველი ქართული ფორმა. მერე წერია „მ", მერე ქარაგმის ნიშანია, მერე „ა" და ჩხიკი — ასეთი ფორმა იკითხება. აზრობრივად და ლოგიკურად არ არის გამართული ნაწერი, მაგრამ დაახლოებით 30 ასოსგან მაინც შედგება. ტექსტის გადარჩენილი ასოების რაოდენობა 21-მდეა და ყველაზე დიდია იმ წარწერებიდან, რაც ჩეჩნეთში არის ნაპოვნი",** — ამბობს მიხეილ ლაბაძე.

მას ქვის გაცნობის საშუალება მხოლოდ ფოტოს მეშვეობით მიეცა და მსჯელობისას მხოლოდ ამ მასალას ეყრდნობა, რაც, მისი თქმით, საკმარისი არ არის მნიშვნელოვანი დასკვნის გამოსატანად.

**„სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს საფლავის ქვა, იმიტომ რომ „ქრისტე" და „სულია" ნახსენები. დაქარაგმებული „ქრისტე" — „ქ" ქარაგმა, „ე" და „ს" ქარაგმა და „ლი", ანუ „ქრისტე სული მისი", „მისი" ჩვენ ვივარაუდეთ, რადგან ასო „მ" არის შემორჩენილი და მერე ჩამოტეხილია ქვა. „მ" ასო ნაცვალსახელ „მისის" ნაშთი შეიძლება იყოს. ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ ფოტოფირით, ეს კიდევ ძალიან ძნელია, ვინაიდან ფოტოზე შეიძლება რაღაც ვერ გაარკვიო, ადგილზე ნახვა სჯობს",** — ამბობს მიხეილ ლაბაძე.

მანამდე, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში უთხრეს რადიო თავისუფლებას, პირველადი შესწავლის ნიადაგზე, აშკარაა, რომ ეს არის ვაინახურ ენაზე გაკეთებული წარწერა, რომლისთვისაც გამოყენებულია ქართული ანბანი. ადრეულ შუა საუკუნეებში ძლიერი კულტურული ასიმილაციის ნიადაგზე, არა მხოლოდ ვაინახები, არამედ სხვა ხალხები, ოსები, ინგუშები, იყენებდნენ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას და ეს თავისთავად სიახლე არ არის. მსგავსი არქეოლოგიური არტეფაქტები მრავლადაა მიკვლეული ამ ტერიტორიაზე.

მიხეილ ლაბაძის თქმით, საუკუნეთა განმავლობაში, ჩრდილოეთ კავკასიაზე ქართული კულტურული გავლენა ძალიან დიდი იყო, ჩრდილო კავკასიის აბსოლუტურად ყველა მხარეში გამოიყენებოდა ქართული ანბანი — იქაური ენის დამწერლობად.

**„რუსებმა, როდესაც ჩრდილო კავკასიის ენების შესწავლა დაიწყეს, ისინი უმწერლობო ენებად გამოაცხადეს და თუ შუა საუკუნეებში ქართულ დამწერლობას ხმარობდნენ ჩრდილოკავკასიელები, აქამდე ძალიან მცირე ცნობები იყო და ახლა ნელ-ნელა ჩნდება მასალა, სადაც ჩანს, რომ მართლაც ასე ყოფილა, რომ ქართული ანბანი მთელს კავკასიაში გამოიყენებოდა",** — ამბობს მიხეილ ლაბაძე.

მისი განმარტებით, კავკასიოლოგმა **ტოგო გუდავამ,** 70-იან წლებში დაღესტნის ტერიტორიაზე არსებულ დათუნას ეკლესიაში ქართულ-ხუნძური წარწერები შეისწავლა. დაღესტნის ტერიტორიაზე 100-მდე ქართული წარწერაა აღმოჩენილი, მაგრამ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მათი რიცხვი მცირე იყო. ახალი აღმოჩენა კი, მინიმუმ, იმას ცხადყოფს, რომ ასომთავრული დამწერლობა ჩეჩნეთის ტერიტორიაზეც ადგილობრივი ენის დამწერლობად გამოიყენებოდა.

**ნინო ხარაძე**

## კიმ ჩენ ინი ბოდიშს იხდის



**ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი სამხრეთკორეელი საჯარო მოხელის მკვლელობის გამო ბოდიშს იხდის. მან სამხრეთკორეელ კოლეგას მუნ ჯე ინს მისწერა, რომ ინციდენტი არ უნდა მომხდარიყო. ჩრდილოეთ კორეის ლიდერი აღნიშნავს, რომ მომხდარის გამო დამწუხრებულია.**

სეულის მონაცემებით, 47 წლის კაცი 21 სექტემბერს, კუნძულ იონხიონდოსთან ინსპექციის ჩატარების დროს კატერის ბორტიდან გაუჩინარდა. სავარაუდოდ, მან ჩრდილოეთ კორეაში გაქცევა სცადა და ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში გაცურა. მისი ცხედარი ჩრდილოეთ კორეის პატრულმა აღმოაჩინა. ექსპერტიზის შემდეგ სეულში ამტკიცებენ, რომ კაცი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, შემდეგ კი კუნძულზე მისი ცხედარი დაწვეს. სამხრეთ კორეაში მიიჩნევენ, რომ ფხენიანის მთავრობა ასეთ „არაადამიანურ" საქციელზე კორონავირუსის გავრცელებასთან ბრძოლის საკუთარი ინსტრუქციების გამო წავიდა. ეს პირველი შემთხვევაა 2008 წლიდან, როცა ჩრდილოეთ კორეაში სამხრეთ კორეის მოქალაქე მოკლეს.

## ყაზახეთმა სიკვდილით დასჯა სრულად გააუქმა

**როგორც ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ყაზახეთი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატურ პროტოკოლს შეუერთდა.**

ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაეროს რიგით 75-ე გენერალურ ასამბლეაზე ვიდეომიმართვისას გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ყაზახეთში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი 2003 წლიდან მოქმედებს. ამასთანავე, სიკვდილით დასჯა, როგორც სისხლის სამართლის სასჯელი, არ გაუქმებულა და მისი აღსრულება მორატორიუმის გაუქმებიდან ერთი წლის განმავლობაში გახდებოდა შესაძლებელი.

## ტრამპს სამართლიანი არჩევნების ეჭვება

**„სიფრთხილეა საჭირო ფოსტით ხმის მიცემის პროცედურასთან დაკავშირებით. ეს დიდი თაღლითობაა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. მე კი არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასე იქნება",** — განაცხადა დონალდ ტრამპმა. თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, კეილი მაკინენმა განაცხადა რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგებს აღიარებს.



23 სექტემბერს დონალდ ტრამპმა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას, არჩევნების წაგების შემთხვევაში გადააბარებს თუ არა ძალაუფლებას მშვიდობიანად ჯო ბაიდენს, არ უპასუხა.

## პორტუგალიაში სესხის დაფარვა გაახანგრძლივეს

**პორტუგალიის ეკონომიკის მინისტრის პედრუ სიზა ვიეირას განცხადებით, მთავრობა სესხის ყოველთვიური გადასახადის დაფარვის გადავადებას მომავალი წლის სექტემბრამდე გაახანგრძლივებს, რათა თავიდან აიცილოს ცუდი სესხების მკვეთრი ზრდა.**

გადაწყვეტილება შეეხება როგორც კომპანიების, ასევე ფიზიკური პირების სესხებს, მათ შორის იპოთეკურ სესხებს. სესხის ყოველთვიური გადასახადის 2021 წლის სექტემბრამდე გადავადების მიუხედავად, ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს პროცენტის გადახდა მარტის თვიდან მოუწევთ.

◎ კარანტინი

# ინფექცია „დინამოში“

**ბავშვობიდან** მესმის — მიცვალებულზე ან კარგი თქვი, ან არაფერიო, მაგრამ რატომღაც არავის უსწავლებია, როგორ შევაფასო ზეზეულად მკვდრები.

და აი, ამ გაგანია კორონავირუსის პანდემიის დროს ერთ დროს ჩვენმა საამაყო თბილისის „დინამომ“, რომელსაც ძალად მედასავლეთეების ზეგავლენით სახელი შეუბრუნეს და „დინამო“ თბილისად მოიხსენიებენ (ეტყობა, გული უგრძნობდათ, რომ გუნდის აწმყო და, ღმერთმა ნუ ქნას, მომავალიც, გაუკუღმართდებოდა) ფარერის კუნძულებზე ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნახევრად მოყვარულთა კლუბ „კლაკსვიკთან“ წაბილწვით — 1:6 (თვითონ ხომ არიან პროფესიონალები) უებარი რეცეპტი შემომთავაზა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ქართველ ქომაგთა უმრავლესობასაც მოეწონება და მათ შელახულ ავტორიტეტს მცირე ხნით მაინც უმკურნალებს.

მაშ ასე: სასწრაფოდ, მეტასტაზების აღმოსაფხვრელად, აეკრძალოთ წინამორბედთა სასახელო ტრადიციების შემარცხვენელ თანამედროვე ვაიფეხბურთელებს „თეთრ-ლურჯი“ მაისურებით „თამაში“ და ვითარების გაუმჯობესებამდე შეიმოსონ შავებით; სწორუპოვარი ბორის პაიჭაძის სახელო-




ბის ეროვნული სტადიონიდან, რომელიც წამხედურობით „დინამო არენად“ გადანათლეს, საბღლარძუნოდ სადმე, მიყრუებულში, გამოეძებნოთ ყანისმაგვარი მოედანი, რადგან დიდუბეში მაინც ცარიელი ტრიბუნები არიან მათი საცოდაობის მოწმენი; გამოსახლდნენ დიდი მაესტრო ანდრო ჟორდანიას სახელობის დიღმის საწვრთნელი ბაზიდან და ოფლი უნაყოფოდ, ბაცილის გაქრობამდე, რომელიმე მშენებლობაზე ღვარონ — ფეხბურთს მაინც ვერ სწავლობენ და სულ ტყუილად აცდენენ ოდესღაც პოპულარულ სპორტულ ობიექტს; შეიქმნას ჰერალდიკოსთა კომპეტენტური კომისია, რომელიც განსახილველად ერის სამსჯავროზე გამოიტანს აღნიშნული კრებულის სავალალო ტანჯვა-წამების შესაბამის ახალ ლოგოსა და ჰიმნს; თუ ჯერაც არ შელახვიათ თავმოყვარეობა და არ მიუღიათ სათანადო საკადრო გადაწყვეტილებები, საზოგადოებამ ამოიღოს ხმა და აიძულოს კლუბისა და გუნდის თავკაცები, დაუთმონ ასპარეზი სხვებს; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოწვეულ იქნას სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მონაწილენიც დაადგენენ — რა ჰქვია იმ „ამოუცნობ ფენომენს“, რაც სურთ შემოგვასაღონ, როგორც ფეხბურთი?

და ბოლოს, ზემოთ გამოტანილი განაჩენის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, არაოფიციალური მუხლი: მიესაჯოთ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის პროფანაციებს როგორც მართლაც დინამოელთა ძველი გვარდიის დაუვიწყარი საფეხბურთო სპექტაკლების, ისე, თუნდაც, თანამედროვე თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსეული ბრძოლის ყურება, რომელიც ესპანეთში პრიმერა-დივიზიონის ლიდერ „გრანადასთან“ მხოლოდ 0:2 დამარცხდა და თავაწეული დაბრუნდა სამშობლოში.

**„სრ“ სპორტის რედაქცია“**

◎ სეზონის წინ

# ამბები აუზიდან



**თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში სამკვირიანი საწვრთნელი შეკრება დაასრულეს საქართველოს ნაკრების წყალბურთელებმა, რომლებსაც რევაზ ჩომახიძე ავარჯიშებთ.**

იყო ვარიანტი, რომ ტოკიოს ოლიმპიადის საგზურისთვის ბრძოლაში მოსამზადებლად „ჯვაროსნები“ რუმინელებს ან რუსებს შეერთებოდნენ, სავარაუდოდ, კისლოვოდსკის ახალ საწვრთნელ ბაზაზე, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ ეს პროექტი ჩაშალა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი აღნიშნულ შესარჩევ ტურნირში ერთ ჯგუფში მოხვდა კანადასთან, ბრაზილიასთან, მონტენეგროსთან, საბერძნეთთან და აზიის რჩეულთან ერთად.

ამასობაში სიახლეა ჩემპიონთა ლიგის მონაწილე თბილისის „დინამოში“, რომელმაც სერბ ცაცია შემტევ **დუშან ვასიჩის** კვალად მონტენეგროელი თავდამსხმელი **იოვან სარიჩი** დაიმატა, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრია. ისინი წლეულსვე მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას და ჩვენს ნაკრებშიც ითამაშებენ. მათ გვარები ვასაძედ და სარიშვილად უნდა გადავუკეთოთო, იხუმრა გელა ტუკვაძემ.

დავძენთ, რომ „დინამოს“ აკადემიის აღზრდილი გიორგი ერისთავი სერბულ „იადრანში“ სამთვიანი სტაჟირების შემდეგ „ბარსელონის“ აკადემიაში ჩაირიცხა.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ცოდვა-მადლი

# ხმას როგორღა იღებენ?..



**პირდაპირ, გასაოცარია ზოგიერთების ამბავი.**

ტელეკომპანია „ფორმულას“ საინფორმაციო გამოშვებაში ატეხილ ვაივიშზე მოგახსენებთ, როგორ ბედავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქუთაისში, პარლამენტის ყოფილი შენობის უკვე გაპარტახებულ მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სპორტული კომპლექსის, მათ შორის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის აშენებასო.

სწორედ ამაზე იტყვიან, უტიფრობას არა აქვს საზღვარიო.

მართლაც, ვინმეს ჰკითხა წინა ხელისუფლებამ აზრი, საპარლამენტო დედაქალაქად გამოვაცხადოთ თუ არა რიონისპირა ქალაქიო? რა თქმა უნდა, არა.

მეტიც, ნაც-ფიურერის ხუშტურებს მერაბ ბერძენიშვილის დიდებული მემორიალი და, რაც არანაკლებ სამწუხაროა, დედა-შვილ ჯინჭარაძეების სიცოცხლე შეეწირა.

აი, ასეთ ცოდვას ატარებს აღნიშნული ტერიტორია და მადლიერნი იყვნენ მომჩივანნი, საშვილიშვილო პროექტის შემოქმედნი მომავალი თაობის დაფრთიანება-დაოსტატებით ოდნავ მაინც თუ ჩამორეცხავენ მარადიულ ლაქას დასახელებული უკეთურობის ავტორსა და მის თანამოაზრეებს.

დიახ, ბაგრატით, გელათითა და თეთრი ხიდით დამშვენებულ, ბევრის აზრით, ყველაზე ქართულ ძველ სატახტო ქუთათისს სრულიადაც არ სჭირდება ყურით მოთრეული საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსი — საკანონმდებლო ორგანოს წევრებს ხომ უქნარებს უწოდებდნენ და აკრიტიკებდნენ, მთელ დროს ბიკენტიას საქაბაბესა და რესტორნებში კლავდნენო.

თუ მაინცდამაინც ტიტულით შემკობაა აუცილებელი, ქუთაისს საუნივერსიტეტო ცენტრის რეგალიაც სავსებით შეეფერება, მოწინავე ტექნოლოგიების კვლევითა და დანერგვით რომ წარმოებს ახალ, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში.

მოკლედ, უძველეს და ულამაზეს კუტაიაში კიდევაც დაიზრდებიან ხერხაძის, ძოძუაშვილის, ნოდიას, შენგელიას, სულაქველიძის, გაბელიასა და კოსტავას მემკვიდრენი.

**გია პლატონიშვილი**

◎ ერთადერთი!

# „ოქრო“ კორეიდან

**ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება. ჰოდა, ეტყობა ლოგიკურიცაა, ჯერჯერობით და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნის განმავლობაში, ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში გელა კეტაშვილი ჯვართამაღლების დღეს რომ დაიბადა.**

დიახ, სწორედ „ნახალოვკელ“ მცველს ხვდა წილად პატივი, სხვადასხვა თაობის გამოჩენილ თანამემამულეებზე ამაღლებულიყო და ყველასათვის სპორტული ოლიმპიდან გადმოეხედა. ისიც აღსანიშნავია, რომ სსრკ ნაკრების თავკაცი ანატოლი ბიშოვეცი ისე ენდობოდა გელას, რომ ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმით წაიყვანა კორეაში.




ალბათ, ჩვენი სამშობლოს ისტორიული ბედუკუღმართობაა, 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეც რომაა და სწორედ აფხაზეთის ძმათამკვლელ ომს უკავშირდება „პოდკატის“ (ამ ილეთს გენიალურად ასრულებდა თამაზ კოსტავაც) ამ გამორჩეული დიდოსტატის ბიოგრაფიის ამაღელვებელი ეპიზოდიც: კერძოდ, როცა საქართველოს ინტერესებმა მოითხოვა, ახალფეხადგმული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურის მოწოდების საპასუხოდ მან უძვირფასესი ოლიმპიური „ოქრო“ ქვეყნის საკეთილდღეოდ შექმნილ „ბირჟას“ შესწირა, თუმცა, სად გაქრა აღნიშნული რელიკვია შემდეგში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

სხვათა შორის, მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მფლობელს თურქეთის საზღვარზე ნაპოვნი ჯილდო დაუბრუნესო.

გვერდს ვერ ავუვლით ამ აწ უკვე ორგზის (55) ფრიადოსანი პიროვნების კარიერისშემდგომი პერიოდის კიდევ ერთ ფრაგმენტს, როცა ოლიმპიურ ჩემპიონს, რომლისთვისაც ცივი ნიავი არ უნდა მიგვეკარებინ:ა, ტრასაზე მოუწია ავტოინსპექტორობა. რას ვიზამთ, ესეც ჩვენი მწარე სინამდვილეა.

მიუხედავად ყველაფრისა, სეულის გმირმა, რომელიც ღირსეულად თვით რომარიოს გაუმკლავდა, წარმატებით დაძლია როგორც საფეხბურთო, ისე ცხოვრებისეული დაბრკოლებები და თავაწეული, საამაყო შთამომავლობით ხვდება 55 წლის იუბილეს.

გილოცავთ, ჩემპიონო!

**გიორგი შოთაძე**

**საღარბაზო ბარათი**

**დაიბადა 1965 წლის 27 სექტემბერს თბილისში. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“, თბილისის „დინამოში“, ლანჩხუთის „გურიასა“ და თბილისის „თეთრ არწივში“. საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 164 მატჩი (4 გოლი), ხოლო სსრკ ნაკრებში — 3 შეხვედრა. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული გახლავთ საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.**

## ტაბლო

**ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კვალიფიკაცია** „გენტი“ — „დინამო“ კიევი 0:1. გიორგი ჩაკვეტაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია.

**უეფას სუპერთასი.** „ბაიერნი“ — „სევილია“ 2:1 (დამატებით დროში).

**ევროპალიგა.** „ანორთოსისი — „ბაზელი“ 2:3.




**კალათბურთი. ვთბ ლიგა I ტური.** „ასტანა“ —ცსკა 60:93. თორნიკე შენგელიამ მე-3 წუთზე ბურთის ჩატენვის დროს მუხლის მსუბუქი ტრავმა მიიღო და მალე ისევ ითამაშებს.

**ესპანეთი. ლიგა ენდესა. II ტური.** „ბილბაო“ — „ტენერიფე“ 70:81. გიორგი შერმადინმა 17 ქულა მოაგროვა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

**ნბა. აღმოსავლეთის კონფერენცია. ფინალური პლეი-ოფი.** „მაიამი“ — „ბოსტონი“ 112:109. სერიის ანგარიში 3:1.

**დასავლეთის კონფერენცია.** „ლეიკერსი“ — „დენვერი“ 114:108. სერიის ანგარიში 3:1.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფრენბურთის ისტორია

# მფრინავი ბურთის იუბილე



**საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, რომ ფეხბურთი ოფიციალურად 157 წლისაა — ის ინგლისის სახელგანთქმული უნივერსიტეტის ოქსფორდის სტუდენტებმა და მუშა მეტალურგებმა მოიგონეს. თუმცა კი სინამდვილეში მისი მსგავსი თამაშები ძველ ჩინეთსა და ეგვიპტეშიც იყო, რომაელი ლეგიონერები მოცალეობის ჟამს თანამედროვე ფეხბურთის მაგვარი თამაშით ირთობდნენ თავს — მას „გარპასტუმი“ ეწოდებოდა, რომელმაც შემდგომ სახე იცვალა და შუასაუკუნოვან იტალიაში „ფლორენციული კალჩოს“ სახელით იყო ცნობილი.**

გარდა ამისა, არის უამრავი ბურთიანი თამაში, რომელთაც კაცთა მოდგმა დედამიწის ყველა კუთხეში თამაშობდა. მაგალითად, ალექსანდრე დიუმას მიერ უკვდავ რომანში აღწერილი დროის მუშკეტერები რაღაც თანამედროვე ჩოგბურთის მსგავსს თამაშობდნენ. კალათბურთვით თამაში ამერიკელ ინკებს ჰქონდათ, რომელიც მუდამ საშინელი რიტუალით სრულდებოდა: მოგებული გუნდის „კაპიტანს“... თავს კვეთდნენ, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა. თანამედროვე კალათბურთში კი, თავდაპირველად, ბურთს ნაღდ უძირო კალათში აგდებდნენ, მოგებულ გუნდს კი... ცოცხალი ინდაურით აჯილდოებდნენ.

არადა, დღევანდელ მსოფლიოში კი არის კიდევ ერთი, უაღრესად დემოკრატიული თამაში, რომელსაც ხალხი მართლაც ყველგან თამაშობს — არამარტო სპორტულ მოედნებზე, არამედ ქუჩებშიც, პლაჟებზეც, ჩვეულებრივ ეზოებშიც — მხედველობაში, რაღა თქმა უნდა, ფრენბურთი გვაქვს. ამ არაჩვეულებრივი თამაშის „დაბადების დღედ“ ოფიციალურად 1895 წლის 9 თებერვალი ითვლება, ამდენად, წლეულს მას არსებობის 125 წელი შეუსრულდა, მისი ავტორი კი ამერიკული შტატის მასაჩუსეთსის ქალაქ ჰოლიოკეს საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი **უილიამ მორგანია.**

საიმისოდ, რათა მოსწავლეებს მეტად მოძრაობის სურვილი გასჩენოდათ, მან რამდენიმე თამაშის წესები გააერთიანა — მაგალითად, ჩოგბურთიდან ბადე „წამოიღო“, ოღონდ ის 196 სანტიმეტრის სიმაღლეზე ასწია. თავდაპირველად, მოასპარეზე გუნდებში მოთამაშეთა ოდენობა შეზღუდული არ იყო — მონაწილეობის მიღება იმდენ კაცს შეეძლო, რამდენიც მოედანზე დაეტეოდა. საჭირო იყო მხოლოდ ბურთის მოწინააღმდეგის მხარეს გადაგდება. მაგრამ შემდეგ მისტერ მორგანმა თამაშის გართულება გადაწყვიტა: მან ჯერ მკაცრად შეზღუდა ერთ მიღებაზე ბურთის შეხებათა მაქსიმალური ოდენობა — არაუმეტეს სამისა, შემდეგ განსაზღვრა გუნდის წევრთა რიცხოვნობა — ექვსი კაცი, დაბოლოს დაადგინა ყველაზე მთავარი წესი: აიკრძალა ბურთის ხელით დაჭერა, იგი გამუდმებით ჰაერში უნდა ყოფილიყო. ასე დაერქვა თამაშს „ფრენბურთი“ — ფრენა“ და „ბურთი“, რაც ინგლისურად „at the volley“ (ფრენის დროს) და „Balle“ (ბურთს) ნიშნავს.

დღესდღეობით კი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას მსოფლიოში მილიონობით ადამიანი — ერთიანად დიდი თუ პატარა, ასაკოვანი თუ ახალგაზრდა — გატაცებით თამაშობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# წალენჯიხას ახალი სკოლა შეემატა

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის კანთის უბანში, 60 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**



მიმდინარე სამუშაოებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ცოტნე შონია ადგილზე გაეცნო.

კანთის საბაზისო სკოლის მოსწავლეებს სწავლა ხის ძველ შენობაში უწევდათ, რომელიც ხანძრის შედეგად განადგურდა, რის შემდეგაც ისინი სწავლას სხვადასხვა სკოლაში განაგრძობდნენ.

ახალი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება, რომელიც ახალი ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვება, ექნება საკუთარი სასწავლო ლაბორატორია და გარე სპორტული მოედანი. შენობა ადაპტირებული იქნება პირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 28 საჯარო სკოლაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, მთლიანად განახლდა სველი წერტილები, საპირფარეშოები და მოეწყო პანდუსები.

ხსოვნა

# ოთარ ინასარიძის არდავიწყება



**ჩვენო საყვარელო მამიკო! 25 სექტემბერს 90 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის შავბედითი საღამო, რომელმაც 17 წლის წინათ ტრაგიკული სიკვდილით წაგვართვა შენი თავი... საშინელი გასახსენებელია ის დღე, როდესაც გარდაცვლილის ნახვაც კი სანატრელი იყო.... და რაოდენ „ბედნიერნი“ ვიყავით, როდესაც შემოდგომის ადიდებულ მდინარეში ღვთის მადლით გიპოვეთ. მაშინ და სწორედ მაშინ მივხვდით იმ სიტყვების მთელ სიმძიმეს, რაც ბევრჯერ ამომიკითხავს წიგნებში: „სიკვდილიც არის და სიკვდილიც“... ბედნიერია თურმე ის ადამიანი, ვინც ოჯახურ, თბილ გარემოში თავის სასთუმალზე დალევს სულს და არა ისე, როგორც შენ და შენმა მამიკომ, ვიქტორ ბაბუამ დალიეთ სული; ერთმა — ტრაგიკული შემთხვევით და მეორემ — სამშობლოსთვის ბრძოლაში, ქერჩთან, ზღვაში.**

**ღმერთს მადლობას ვუხდით შენი შვილები, რომ ამის საშუალება მოგვცა და შენი თავი გვაპოვნინა.**

**ამ განცდის გადმოცემა შეუძლებელია.**

**მამა! შენ უბადლო ადამიანი იყავი, შესანიშნავი პროფესიონალი და სამშობლოსთვის საყვარელი მამულიშვილი, შეუდარებელი მამა, მეუღლე, ბაბუა და მეგობარი, დიდთან — დიდი და პატარასთან — პატარა. უდიდესი დანაკლისი იყო ჩვენთვის ასე ადრე შენი ამქვეყნიდან გასვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა...**

**მამიკო, შენი ძვირფასი მეუღლეც ახლა უკვე შენთანაა, სულ რაღაც 3 თვის გარდაცვლილი... ორივეს სულის საცხონებლად, თქვენი შვილები უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ და ზეციურ საუფლოში გეხაროთ ჩვენს ყველა გარდაცვლილ წინაპართან ერთად.**

**შენი შვილები:**
**გულნარა ინასარიძე;**
**ავთანდილ ინასარიძე;**
**რევაზ ინასარიძე.**

# ქართული ვაშლის დიდი შემსყიდველი რუსეთია



**ქართული ვაშლის ექსპორტის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით ასეთია: რუსეთის ფედერაცია (990.5 ტონა), ყაზახეთის რესპუბლიკა (59.9 ტონა), სომხეთის რესპუბლიკა (3.6 ტონა), დანარჩენი ქვეყნები (0,10 ტონა). ექსპორტირებული ვაშლით მიღებული შემოსავალი 321 ათასი აშშ დოლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ვაშლის ბაღები, საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 1 128 ჰექტარზე გაშენდა. სახელმწიფოს თანადაფინანსებამ კი, 9 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

# კახეთში რთველი „შუბის ტარზე“ დგას

**კახეთში, „რთველი 2020“-ის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით ყურძენი ღვინის საწარმოებს 18 ათასამდე მევენახემ ჩააბარა, რომელთა შემოსავალი 172 მლნ ლარს აღწევს.**



25 სექტემბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი: 123 ათასი ტონა რქაწითელი, 39 ათასი ტონა საფერავი, 2,8 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ყურძნის დღელამური გადამუშავების მაჩვენებელი კვლავ 13 ათასი ტონის ფარგლებშია, რაც ნიშნავს, რომ კახეთში რთველი პიკურ პერიოდშია. მოსავლის დაბინავება კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

მიმდინარე წელს, COVID-19 პანდემიის შედეგად დაზარალებული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება.

სუბსიდიას მიიღებს ღვინის კომპანია, რომელიც შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ, არანაკლებ 1000 ტონა რქაწითელის, ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს. ამასთან, შესყიდულ 1 კგ ყურძენში ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის, არანაკლებ 0,80 ლარს. 1 კგ ყურძნის შესყიდვისას, ღვინის კომპანიებზე გაიცემა სუბსიდია: 1 კგ რქაწითელზე და 1 კგ კახურ მწვანეზე — 0,30 ლარი.

ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!




ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე გადაყრილ ფულზე.

აჩქარებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქვედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09.

# ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ნაკვალევზე



**საქართველოში მოქმედმა ისრაელის ექსტრემალურმა ტურისტულმა კომპანიამ AclassA Travelers-მა, პანდემიის პირობებში ყველა წესის გათვალისწინებით, ონსა და ლაილაშში ისრაელელებისთვის ჯიპტური მოაწყო, — ამის შესახებ ინფორმაციას „ისრაელის სახლი" ავრცელებს.**

ტურში 25 ისრაელელი მონაწილეობდა და მათ გაიარეს ის მარშრუტი, რომელიც „ისრაელის სახლმა", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და ევროსაბჭოსთან არსებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპულ ასოციაციასთან (AEPJ) თანამშრომლობით, ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტის ფარგლებში შექმნა და მოიცავს ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს.

მასში გაერთიანებულია ლაილაში, ონის უნიკალური სინაგოგა და ებრაული კვარტალი, ახლახან „ისრაელის სახლის" მიერ ონის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ქალაქის ცენტრში აღმართული ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისა და ქართველი შინდლერის სერგი მეტრეველის მონუმენტი.

ჯიპტურის მონაწილეები ონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ჩიკვაიძემ მიიღო, ებრაულ ახალ წელს - როშ აშანას (18 სექტემბერი) კი ონის სინაგოგის ეზოში შეხვდნენ.

„ისრაელის სახლის" ხელმძღვანელის იციკ მოშეს თქმით, კულტურული მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ წარსული, ის უდიდესი მორალური კაპიტალია, რომლის გარეშეც ძნელია მომავლის შენება. „ისრაელის სახლი" საქართველოში ოფიციალურად წარმოადგენს ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებულ ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ მარშრუტს და მუშაობს მის პოპულარიზაციაზე. ეს ახალი მიმართულებაა, რომელშიც ჩართულია ევროსაბჭო, საქართველოს კულტურის სამინისტრო, დიდი მხარდაჭერაა ისრაელიდან.

# რიოს კარნავალი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო

**„ჩვენ ვეძებთ ალტერნატიულ გამოსავალს. ჯერ არ ვართ დარწმუნებული, რომ კარნავალის ზუსტი თარიღის დათქმა შეგვიძლია", — ამბობს სამბას ლიგის პრეზიდენტი ხორხე კასტანეირა.**



რიოს კარნავალის ჩაშლამ არაერთი ადგილობრივის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ეს იმ ოჯახებზე იქონიებს გავლენას, რომლებიც ამ ღონისძიებიდან შემოსავალს იღებენ. ტურიზმი ბრაზილიის მშპ-ის დაახლოებით 8% -ს შეადგენს.

რიო-დე-ჟანეიროს კარნავალი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ფესტივალია, რომელიც რიოს ქუჩებში იმართება და მასში ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი მონაწილეობს. პირველი ფესტივალი 1723 წლით თარიღდება.

# ისრაელში საყოველთაო კარანტინია

**25 სექტემბრის 14:00 სთ-დან ისრაელი საყოველთაო კარანტინის რეჟიმზე გადავიდა. რეგულაციები 11 ოქტომბრამდე რჩება ძალაში.**

ეკონომიკური საქმიანობა სრულად შეიზღუდება, გამონაკლისს წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციები, როგორიც არის: საფინანსო და ენერგეტიკული სექტორი, სოციალური მომსახურება, წარმოება და პროდუქტების მიწოდება, კავშირგაბმულობა, მედიცინა, მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და პორტი, დასუფთავების სამსახური.



„იომ ქიფურის" დღესასწაულის პერიოდში 27-28 სექტემბერს მზის ჩასვლამდე მანქანით გადაადგილება აიკრძალება. ამავე პერიოდში დაიხურება ყველა სავაჭრო ობიექტი, მათ შორის-აფთიაქები.

ძალაში რჩება ადრე დამტკიცებული შეზღუდვები.



# მეტროპოლიტენ ოპერა ერთი წლით დაიხურა

**კორონავირუსის პანდემიის გამო, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის სეზონის გახსნა კიდევ ერთი წლით გადაიდო.**

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წამყვანი საოპერო სცენა 2021 წლის სექტემბრამდე დახურული იქნება. გადაწყვეტილების შესახებ საოპერო თეატრის ადმინისტრაციამ განაცხადა.

როგორც იუწყებიან ეს პირველი შემთხვევაა თეატრის 137-წლიანი ისტორიის განმავლობაში.

**„არაფერი გვსურს იმაზე მეტად, რომ დავუბრუნდეთ ჯადოსნური საოპერო სამყაროს შექმნას თქვენთვის, მაგრამ ჩვენი და ჩვენი აუდიტორიის უსაფრთხოება ყველაზე პრიორიტეტულია"**, — განაცხადა თეატრის გენერალურმა მენეჯერმა.

მისივე თქმით, წარმოდგენები არ განახლდება, ვიდრე ვაქცინის ფართო გამოყენება არ მოხდება.

კორონავირუსის პანდემიის გამო მეტროპოლიტენ ოპერა მარტში დაიხურა. სეზონის განმავლობაში საოპერო თეატრი 200-ზე მეტ წარმოდგენას მასპინძლობს, რომელსაც 800 000-ზე მეტი კლასიკური მუსიკისა და ბალეტის მოყვარული სტუმრობს.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


## გასაცინებელი ა(მ)ბები



* * *

**ძველ ჩინურ აბანოებში არ იყო ცალკე-ცალკე ქალების და მამაკაცების განყოფილებები. მაგრამ, როცა ქვეყნის მოსახლეობამ მილიარდს გადააჭარბა, მიხვდნენ, რომ ეს დიდი შეცდომა იყო...**

* * *

**— ბატონო ილიკო, როგორ გადაურჩა თქვენი სოფელი ომის დროს დაბომბვას? — ჰკითხეს გურულს.**

**— რაფერ და, გადმეიხედენ და... უკვე დაბომბილი ეგონათ!**

* * *

**ქეიფში შეზარხოშებულმა, განსაკუთრებით „შოურიგებელმა" გურულმა აიჩემა, გინდა თუ არა, ხვალ დილაზე სოფლის გამგებელი უნდა „გადავაბრუნოო".**

**— მიეცა, შე კაცო! — დამშვიდება დაუწყო კეთილმა მეზობელმა.— მაი კაი პირიდან რაა და წარმეიდგინე გლახა პირიდან რა იქნება?**

* * *

**— რაზე ჩაფიქრებულხარ, ვეჟოუ?**

**— რაზე და ვფიქრობ, რა საჭიროა სიტყვაში „შაქრო" ასო „ჭ"?**

**— აბა, შე ხისთავა შენა, „შაქროში" „ჭ" განა კი არი?**

**— არა, მაგრამ, რომ ჩავსვა?**

**— რა ჯანდაბად უნდა ჩასვა?**

**— ჰოდა, მაგაი არა ვფიქრობ, რათა-მეთქი?!**

* * *

**პაპანაქება სიცხეა. მარტოხელა მგზავრი პრერიაში ცხენით მოდის და ნახევრადდანგრეულ რანჩოს გადააწყდება. ხის ჩრდილში სახეზე შლაპადაფარებული კოვბოი წევს. მგზავრი ეკითხება:**

**— ხომ ვერ მიმასწავლით ჯონ სმიტის რანჩოს?**

**კოვბოი ზანტად სწევს ფეხს და მიმართულებას უჩვენებს.**

**გაოცებული მგზავრი დამცინავად ეუბნება:**

**— გატყობთ, სიზარმაცის ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ კიდევ უფრო მეტ სიზარმაცეს თუ გამოიჩენთ, დოლარს მოგცემთ.**

**კოვბოი შლაპას ოდნავ გადაიწევს და ეუბნება:**

**— აგერ, ამ ჯიბეში ჩამიდე ეგ შენი დოლარი!..**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 29 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2897; ევრო - 3.8292;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1960;
100 რუბლი - 4.2718; თურქული ლირა - 0.4276;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9365;
1000 სომხური დრამი - 6.7678.

**ამინდი 26 სექტემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე | +27 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე | +27 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge